

Յ ռ ռ Ե Զ Կ



140
1947/2.





პ. ი. თ. ნ. ე. რ. ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ПИОНЕРИ

Ежемесячный детский журнал
Центрального Комитета
ЛКСМ Грузии

(на грузинском языке)

ს ე მ ტ ე მ ბ ე რ ი

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ლენინის ქ., № 28,
ტელეფონი № 3-81-85

პირველი დიდის სიმღერა

ქარლო კლაკი

როცა ზაფხული ჩაქრება,
მზეც აღარ გვიმზერს სიავით
და ჩუმი სუნთქვით შეარბევს
ფარდებს მთაწმინდის ნიავი,—

დროა ხალისით გავალოთ
თბილისის ყველა კარები, —
ქალაქში მოფრინდებიან
კვლავ ჩვენი თამარ-ქალები!

როცა ზაფხული ჩაქრება
ცეცხლივით ნაპერწკლიანი, —
სიხარულივით გაისმის
პირველი ზარის წკრიალი!

ქუჩაზე მწკრივი ყვავილთა
ღელავს, — უდიდის თვალები. —
სკოლისკენ მიიჩქარაან
კვლავ ჩვენი თამარ-ქალები!


როცა ზაფხული ჩაქრება,
მტკვრის პირად ჩრდილიც გაივლის
და გაცოცხლდება ჩუქურთმა
ძველი ქართული აივნის,—

დროა ჩიტებად შემოსხდნენ
იქ ფრთების აფართქალებით
და სიმს უწყობდნენ ჩონგურებს
კვლავ ჩვენი თამარ-ქალები!

როცა ზაფხული ჩაქრება
და ღიმი პირველ დილისა,
საამოდ მშვედი საღამო
თავს დაადგება თბილისსა!

დროა ბალებიც შემოხვდნენ
ტოტების აშრიალებით,
ხეებქვეშ წიგნებს გაშლიან
კვლავ ჩვენი თამარ-ქალები!





4393



ამხანაგ ი. ბ. სტაღინის მისაღმება



სალამი მოსკოვს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს—მისი 800 წლისთავის დღეს.

მთელი ჩვენი ქვეყანა დღესასწაულობს დღეს ამ დირსშესანიშნავ დღეს. იგი მას დღესასწაულობს არა ფორმალურად, არამედ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით სამშობლოს წინაშე მოსკოვის დიდი დამსახურების გამო.

მოსკოვის დამსახურება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან ჩვენი სამშობლოს ისტორიის მანძილზე სამჯერ გაათავისუფლა იგი უცხოელთა ჩაგვრისაგან — მონღოლების უღლისაგან, პოლონელ-ლიტველთა შემოსევისაგან, ფრანგთა შემოჭრისაგან. მოსკოვის დამსახურება, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი გახდა საფუძველი დაქუცმაცებული რუსეთის გაერთიანებისა ერთიან სახელმწიფოდ ერთიანი მთავრობით, ერთიანი ხელმძღვანელობით. არცერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, სერიოზული სამეურნეო და კულტურული ზრდისა, თუ მან ვერ მოახერხა ფეოდალური დაქუცმაცებისა და მთავრების უთანხმოებათაგან განთავისუფლება. მხოლოდ ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ქვეყანას შეუძლია იქონიოს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის შესაძლებლობის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი. მოსკოვის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ იგი იყო და არის რუსეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის საფუძველი და ინიციატორი.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება სამშობლოს წინაშე მოსკოვის დამსახურება. მას შემდეგ, რაც დიდი ლენინის ნებით მოსკოვი კვლავ გამოცხადდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქად, იგი ახალი საბჭოთა ეპოქის მედროშე გახდა.

მოსკოვი ახლა არის არა მარტო ახალი საბჭოთა სოციალურ-ეკონომიური წესრიგის მშენებლობის სულისჩამდგმელი, წესრიგისა, რომელმაც კაპიტალის ბატონობა შესცვალა შრომის ბატონობით და რომელიც უარპყოვს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ამასთან ერთად მოსკოვი არის კაპიტალისტური მონონისაგან მშრომელი კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის მქადაგებელი.

მოსკოვი ახლა არის ახალი საბჭოთა დემოკრატიის მშენებლობის არა მარტო სულისჩამდგმელი, საბჭოთა დემოკრატიისა, რომელიც უარპყოვს მოქალაქეების, სქესის, რასების, ერების ყოველგვარ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ უთასაწორობას და რომელიც უზრუნველპყოვს შრომის უფლებას და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ხელფასის უფლებას. ამასთან ერთად მოსკოვი არის პლუტოკრატიისა და იმპერიალიზმის ბატონობისაგან მსოფლიოში ყველა მშრომელი ადამიანის, ყველა დაჩაგრული რასისა და ერის განთავისუფლებისა-

თვის ბრძოლის დროში. ეჭვი არ არის, რომ ამ პოლიტიკის გარეშე მოსკოვს არ შეეძლო გამხდარიყო ხალხთა მეგობრობისა და მათი ძმური თანამშრომლობის ორგანიზაციის ცენტრი ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში.

მოსკოვი ახლა არის დედაქალაქის მშრომელთა ახალი ყოფაცხოვრების მშენებლობის არა მარტო ინიციატორი, ახალი ყოფა-ცხოვრებისა, რომელიც თავისუფალია მილიონობით უქონელთა და უმუშევართა სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან. ამასთან ერთად მოსკოვი ამ მხრივ არის ნიმუში მსოფლიოს ყველა დედაქალაქისათვის. ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნების დიდი დედაქალაქების ერთ-ერთი უადრესად სერიოზული იარა არის ჯურღმულების არსებობა, სადაც მილიონობით გადატაკებული მშრომელი განწირულია გაჩანაგებისა და ნელი, მტანჯველი სიკვდილისათვის. მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ მან სავსებით მოსპო ეს ჯურღმულები და მშრომელებს მისცა შესაძლებლობა სარდაფებიდან და ქონმახებიდან გადასახლებულიყვნენ ბურჟუაზიის ბინებსა და სახლებში და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აგებულ ახალ კეთილმოწყობილ სახლებში.

ბოლოს, მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი წარმოადგენს მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის მქადაგებელს, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მქადაგებელს. იმპერიალისტებისათვის ომი არის ყველაზე უფრო შემოსავლიანი საქმე. გასაკვირველი როდია, რომ იმპერიალიზმის აგენტები ცდილობენ ასე თუ ისე პროვოკაციულად გამოიწვიონ ახალი ომი. მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი დაულაღვად ააშკარავებს ახალი ომის გამჩაღებლებს და მშვიდობის დროშის გარშემო იკრებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები იმედით შესცქერიან მოსკოვს, როგორც დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქს და როგორც მშვიდობის მძლავრ ბურჯს.


აი რა დამსახურებისათვის დღესასწაულობს დღეს ჩვენი სამშობლო მოსკოვის 800 წლისთავს თავისი დედაქალაქისადმი ასეთი სიყვარულითა და პატივისცემით.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრს, მშობლიურს, საბჭოთა, სოციალისტურ მოსკოვს!

ი. სკაღინი



მოსკოვი
კრემლი



მოსკოვის კრემლის ბარათები

ა. ბარათიდან


მოჰქრის, მოჰქრის თვითმფრინავი, —
მოსკოვის ცის კარებს აღებს,
და მფრინავი ხედავს ნათლად
დიად კრემლის მაღალ თაღებს.
ჰა, მოარღვევს ღრუბლებს მკერდით,
მზეზე ელავს ვერცხლისფერად,
ბარათები სტალინისთვის
მოაქვს მშობელ კრემლისკენა.
მოსკოვისწყალს გადუქროლებს,
დაიღაბლებს საღლაც წუთით.
მოფრინავენ მოსკოვისკენ
დედამიწის ოთხივე კუთხით.
სწერენ სტალინს მაღაროდან,
სოფლებიდან, ქარხნებიდან,
შორეული ტუნდრებიდან
და პეჩორის შორი ვზიდან,
და აღწევენ დიდ კრემლამდე
ბარათები ყოველ მხრიდან.
— დნეპროჰესი კვლავ ავაგეთ, —
უკრაინა უპატაკებს,
და ფოლადის ჩამოსხმაზე
ტაგილიდან სწერენ ცალკე.
უჰ, რამდენი ბარათია
თვითმფრინავში, ათასფერად,

**მოსკოვი. კრემლი,
ი. სტალინს**

სულ ყველაზე სიხანს წარწერა.

იწერება სარატოვი
და დონბასი თავის სიტყვას...
ო, ბარათებს როგორც გახსნის,
ჩვენს ბარათსაც წაიკითხავს.
ჩვენც მივწერეთ, მე და გოგიმ:
ო, ძვირფასო მამა სტალინ,
გწერთ ამ ბარათს ორი ბიჭი,
სკოლის ორი მეგობარი;
ჩვენ არც ქარხნის მუშები ვართ
და არცა ვართ ინჟინრები,
ჯერჯერობით, დიდო სტალინ,
ვართ უბრალო ბიჭუნები.
მაგრამ ახლო მომავალში,
ჩვენს ბარათში იქნებ მოუყვებთ,
რომ წყალქვეშა გზა ვიპოვეთ
პოლუსისკენ ძლიერ მოკლე,
აღბათ არა ამ ხუთწლედში,
და არც წაგისს, მაგრამ მალე
ჩვენ მაგნიტურ საბადოებს
ვიპოვით და გაგახარებთ.
ან იქნება გამოვგზავნით
მოსკოვს — კრემლის მისამართზე,
რომ მე უკვე პილოტი ვარ,
გოგი — ავებს დიდ ქალაქებს...
მე ჩემს ბარათს თვითმფრინავით
მაშინ, ბრძენო, თვით მოგართმევთ.

მუკამან ლეხანიძე





მოსკოვი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი



მოსკოვი 800 წლისაა...

მ

ოსკოვს 800 წელი შეუსრულდა. მისი წარსული მდიდარი და მრავალფეროვანია. ძველმა მოსკოვმა 770 წელი იარსება, ახალი მოსკოვი—მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქი, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, 30 წლისაა. რვა საუკუნემ გადაურბინა მოსკოვს, მაგრამ იგი ყოველწლიურად მშვენიერდება, ახალგაზრდა ხდება. მესამედი საუკუნის მანძილზე მოსკოვმა თავისი ელფერი სრულიად გამოიცვალა და იგი მსოფლიოში უმშვენიერესი და ულამაზესი ქალაქი გახდა.

მოსკოვი მდიდარი მატიაწეა, რომელშიც თავმოყრილია რუსი ხალხის, საბჭოთა ხალხის დიდი ისტორია. მოსკოვის მიწის თვითეული გოჯი, ყოველი ადგილი, კუთხე სამუდამოდ ინახავს მოგონებებს საუკეთესო ადამიანებზე, რომლებმაც განადიდეს რუსეთის სახელი.

აქ, მოსკოვში, გმირულად ხვდებოდა დიდი რუსი ხალხი მტრის აურაცხელ ურდოებს და საუკუნოდ დაასამარა მტარვალეები. აქ ჩაეკარა საფუძველი რუსეთის ძლიერ სახელმწიფოს.

მოსკოვის კედლებს კარგად ახსოვს დიმიტრი დონელო, კოზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი, 1812 წლის სამამულო ომი, გამოჩენილი მხედართმთავრის მიხეილ კუტუზოვის ლაშქრის გმირობა...

მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი ადამიანი, მოსკოვში მოღვაწეობდა პირველი რუსი მეცნიერი მიხეილ ლომონოსოვი... მის მიერ დაარსებულ პირველ სამეცნიერო კერაში—მოსკოვის უნივერსიტეტში აღიზარდა მოწინავე აზროვნების წარმომადგენელთა ბრწყინვალე პლეადა: პეტრე ჩაადაევი, დენის ფონევიზინი, ნიკოლოზ ნოვიკოვი, ნიკოლოზ კარაშინი, ალექსანდრე გრიბოედოვი, ბესარიონ ბელინსკი, მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრე გერცენი, ნიკოლოზ ოგარიოვი, გამოჩენილი ისტორიკოსი ტიმოთე გრანოვსკი, ცნობილი მოღვაწე ნიკოლოზ სტანკევიჩი... აქ მუშაობდნენ: ლევ ტოლსტოი, კლიმენტი ტიმირაზევი, ფიზიკოსი ალექსანდრე სტოლეტოვი, კრიტიკოსი ვასილ ბოტკინი, „რუსეთის ავიაციის მამა“—ნიკოლოზ ჟუკოვსკი, გამოჩენილი რუსი ხუროთმოძღვარნი ვასილ ბაჟენოვი და მათე კაზაკოვი და მრავალი სხვა...

მოსკოვს ახსოვს ბარიკადები კრასნაია პრესნიაზე 1905 წლის აჯანყებისა, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის „გენერალური რეპეტიცია“ იყო.

მოსკოვში, მყისვე ლენინგრადის შემდეგ, დაიგუგუნეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის ქვეყნებმა და მსოფლიოს ამცნეს საბჭოთა რუსეთის ახალი ცხოვრების დასაწყისი...

სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ 1917 წლის 3 ნოემბრის გარიჟრაჟზე წითელმა გვარდიამ და რევოლუციურმა ჯარებმა კრემლი დაიკავეს და მის ჭალარა თავზე რევოლუციის წითელი დროშა აფრიალდა...

30 წლის წინათ დიდმა რუსმა ხალხმა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. იგი პირველი გამოვიდა იმ ნათელ გზაზე, რომელზეც ოცნებობდნენ ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო ადამიანები.

მოსკოვში ჩაუყარეს საფუძველი ჩვენი ხალხის ბედნიერ ცხოვრებას კაცობრიობის უდიდესმა გენიოსებმა—დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა.

მოსკოვი გმირი-ქალაქი



1918 წლის 26 თებერვალს სახკომსაბჭომ გამოიტანა დადგენილება დედაქალაქის კეტროგრადიდან მოსკოვში გადატანის შესახებ. 11 მარტს საბჭოთა მთავრობის მეთაური დიდი ლენინი მოსკოვს გადავიდა. 12 მარტს საბჭოთა მთავრობა მუშაობას შეუდგა მოსკოვში... მოსკოვი საბჭოთა რუსეთის დედაქალაქი გახდა..

1922 წლის დეკემბერში საბჭოების I ყრილობაზე შეიქმნა მოძმე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდი კავშირი. საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანდნენ ერთ მთლიან ოჯახში და მოსკოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქად იქნა დამტკიცებული.

საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შემოქმედებით შრომას ეწეოდა, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკური ჰორიზონტი 1941 წლის ზაფხულზე ქარიშხალმა მოიცვა—დაიწყო დიდი სამამულო ომი.


1941 წლის 7 ნოემბერს, წითელი მოედნიდან, მავზოლეუმიდან, სადაც მშვიდად სძინავს ლენინს, გაისმა დიდი სტალინის იმედით აღსავსე სიტყვები: „ლენინის დროშით—წინ, გამარჯვებისაკენ“.

და გამარჯვება 1945 წლის 9 მაისს იზეიმა საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა ქვეყანამ, მოსკოვმა.

განსაცდელის მძიმე დღეებში, როდესაც ვერაფე მტერი მოსკოვის კედლებთან იდგა, დედაქალაქის გმირ დამცველებს მხოლოდ ერთი აზრი ამოქმედებდა, ერთი გრძნობა, რომელიც საუკეთესოდ გამოხატა 28 გმირი-გვარდიელის მეთაურმა კლოჩკოვმა მარად უკვდავ სიტყვებში: „რუსეთი დიდია, მაგრამ უკან დასახევი გზა არა გვაქვს: ჩვენს უკან მოსკოვია“.

მოსკოვის გმირულ დაცვას უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდი სტალინი. მოსკოვი უძვირფასესი გახდა თვითეთული საბჭოთა მოქალაქისათვის. სწორედ ამიტომ მოსკოვთან ბრძოლებში რუსების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ უკრაინელები და ბელორუსები, ქართველები და სომხები, ყირგიზები და ტაჯიკები, უზბეკები და ყაზახები—ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი.


ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა არმიის ჯარების პარადს წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბერს... მოსკოვთან გერმანელთა განადგურება მტრის დამარცხების დასაწყისი იყო...



მოსკოვი. კრემლის ხედი.

საბჭოთა კავშირის გმირი ქალაქების მამაცობა სამუდამოდ აღიბეჭდება მრავალ თაობათა მეხსიერებაში. ამ ქალაქებმა საბჭოთა ჭეყანა შემოსეს დიდების მარაგანდელით, სადაც ვით მარგალიტი ბრწყინავს და ელვარებს მშობლიური სიტყვა—მოსკოვი.

მოსკოვი... იყო ოდესღაც იგი ხისა, შემდეგ უწოდეს მას თეთრქვიანი, ახლა კი ხალხის ნებასურვილით, სიბრძნითა და გმირული შრომით იგი გრანიტის, ბეტონისა და მარმარილოს სამოსელითაა მორთული.




მოსკოვი. მეტროპოლიტენის სადგური „მაიაკოვსკის მოედანი“.

დედამდეაქი ტიზკეში...

დიდია მოსკოვის მიწა: 300 კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული ჩვენი დედაქალაქი. მოსკოვში თავს იყრის თერთმეტი სარკინიგზო მაგისტრალი. მოსკოვის ქალაქი კრემლის კედლებს ჩაუდის უხვწყლიანი ცისფერი გზა—მოსკოვის არხი, რომელიც თეთრს, ბალტიისა და კასპიის ზღვებს აერთიანებს.

ძველი მოსკოვის ჩიხებისა და ოკრობოკრო შესახვევების ნაცვლად ფართო, ასფალტით მოფენილი, სწორი ქუჩები, პროსპექტები გაჭიმულან, რომლებიც მშვენიერ მოედნებს ერთვიან. ფართო ქუჩებზე ახალი ტრანსპორტი ამოძრავდა: ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი, მიწის ქვეშ—მეტროპოლიტენი.



მოსკოვი. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შენობა.

ყოველდღე დედაქალაქის ტრანსპორტს 2 მილიონზე მეტი მგზავრი გადაჰყავს.

მოსკოვი არა მარტო გიგანტური, მრავალმილიონიანი ქალაქია, იგი ჩვენი ქვეყნის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრია.

მოსკოვი ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კულტურული და სამეცნიერო კერაა.

მოსკოვში 58 მუზეუმი, 40-მდე თეატრია, 100-ზე მეტი კლუბი, 46 კინოთეატრი, 8 კულტურისა და დასვენების პარკი (სტალინის სახელობის იზმაილოვის პარკი თავისი ფართობით ლონდონის ჰაიდ პარკზე 8-ჯერ დიდია), 20 პიონერთა სასახლე და სახლი.

მოსკოვში 83 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც 100.000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

მოსკოვში გამოდის საკავშირო მნიშვნელობის 40 გაზეთი, ათობით ჟურნალი. აქ იბეჭდება გაზეთი „პრავდა“, რომელიც ყოველდღე 2 მილიონი ტირაჟით ვრცელდება.

მოსკოვში ყოველდღიურად ნახევარ მილიონამდე მოსწავლე დადის სკოლაში. ყოველდღე მოსკოვის ქარხნებს, ფაბრიკებს, დაწესებულებებს 2 მილიონამდე მუშა-მოსამსახურე შიამურებს. 200.000-ზე მეტი კაცი ათვალიერებს მოსკოვის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მუზეუმებს, გამოფენებს.

უთილაგია და ფასდაუდებელი დედაქალაქის წიგნის ფონდი. მოსკოვში 500-მდე ბიბლიოთეკაა, რომელთა თაროებზე 12 მილიონზე მეტი წიგნი ინახება. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი წიგნთსაცავი—ლენინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა 10 მილიონ წიგნს შეიცავს. წიგნების რაოდენობით იგი მეორე ადგილზეა მსოფლიოში (ვაშინგტონის ნაციონალური ბიბლიოთეკის შემდეგ). აქ გზაგნის გამოცემებს მსოფლიოს 36 სახელმწიფო. ამ ბიბლიოთეკის წიგნების თაროების საერთო სიგრძე 200 კილომეტრს აღწევს. მკითხველთა რაოდენობის მხრივ ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. მოსკოვის ბიბლიოთეკები ყოველდღიურად მომსახურებას უწევენ ნახევარ მილიონ ჰკითხველს.


მოსკოვში იმყოფება და მოღვაწეობს მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მთავარი შტაბი—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

* * *

მოსკოვი... იგი ჩვენი სამშობლოს გულია, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის სიმბოლოა. კრემლის კოშკების ლალის ვარსკვლავები შუქს ჰფენენ მთელ ჩვენს დიდ სამშობლოს, მსოფლიოს ყოველ კუთხეს.

მოსკოვი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მშობლიური და საყვარელი ქალაქია.

ნიკოლოზ ჯაში



მოსკოვის ბჭესთან



მაშინ მოსკოვის მისადგომებთან
თვითონ ჯავშნობდა ხალხის მარჯვენა,
მიწა ბოლავდა, გმირი ომობდა
დედაქალაქის გადასარჩენად.

ისმოდა სროლა, ქუხილის ხმები,
ჭექდა ყუმბარა სკლომიო, ნათებით.
მოსკოვს იცავდნენ ქართველი ძმებიც,
ჩვენი მამულის გროლიათები.

მინდვრად ეყარა მტრების ცხედრები,
დასტრიალებდნენ სკავნი მყივარნი.
მინდივრად ქარივით ჰქროდნენ მხედრები
სანგრიდან სანგარს გადამკივარნი.

მკერდით დაიცვეს მხარე მშობელი,
თავისუფლება ქვეყნის დიდება.
როგორ იქნება ქვა უგრძნობელი,
თუ მათ საფლავზე ძეგლად იდგმება!

დიდი მოსკოვის მისადგომებთან
თვითონ ჯავშნობდა ხალხის მარჯვენა,
მიწა ბოლავდა, გმირი ომობდა
დედაქალაქის გადასარჩენად.

პარკამ ჟუკაილი

ვიცავდი მოსკოვს!

თბილისელ ქაბუკს ბავშვობიდან მენატრებოდა
მეხილა მზის და გამარჯვების დიადი ბინა.
რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე მელირსებოდა
მკერდით დამეცვა კრემლი, სადაც დიდ ლენინს სჩინავს.

შეკრულ სანგრიდან ჩემი თოფიც მრისხანედ სჭექდა,
მესმოდა „დაჰკარ“! – ბრძენთა-ბრძენის სიტყვა ნათელი,
რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე მოსკოვის ბჭესთან
რუს ძმებთან ერთად დავდგებოდი მოძმე ქართველი.

სანგარშიც ვგრძნობდი მე რუსული ლუმელის სიტბოს.
წინ მეძახოდა სიმართლე და გმირთა აჩრდილი.
რამდენსაც მარჯვედ მტერს დავკრავდი, ვხედავდი თითქმის
პეტრე პირველთან თავმომწონედ იდგა აჩილი.

ო, წინაპრებო, მე თქვენსავით დამწვარი გულით
არ წამიღია მშობლიური ქვეყნიდან მიწა,
რადგან სტალინის მზის შუქზე ვარ დაბადებული
და მწამდა მუდამ, რომ ჩემ თბილისს ვიცავდი იქაც.

მოსკოვი ვნახე, ზედ დაჰყურებს ბელადის თვალი
და მოედანზე მუდამ ღელავს დროშების ფარჩა.
მოსკოვი ვნახე, გამარჯვების ფუძე და ფარი,
და მისი სახე მზის შუქივით ხსოვნაში დამრჩა.

პახანაშვილი გორგენაძე



მოსკოვი და საქართველო

(პირველი ცნობები ურთიერთობის ისტორიიდან)

მოსკოვის რეაასი წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნის დროს ყოველი ქართველის წინაშე ბუნებრივია დაისვას საკითხი, როდის გაიცნო ქართველმა პირველად მოსკოვი და მისი სამთავრო და ან, პირიქით, როდის ინახულა მოსკოველმა მოქალაქემ პირველად საქართველო.

ქართული წერილობითი ძეგლებიდან ჩვენამდე ძალიან ცოტამ მოაღწია. უმეტესი მათგანი ხშირი და გამანადგურებელი ომების შედეგად დაიღუპა.

ძველ რუსულ ენაზე უფრო ძველი ხანის ცნობები შემოგვენახა მოსკოვისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. სა-

ყურადღებო ცნობა აქვს აგრეთვე ერთ იტალიელს (ვენეტიკის ელჩს). აი ამ წყაროებზე დაყრდნობით დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი მოსკოვი და საქართველო მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში გაეცნენ უშუალოდ ერთმანეთს.

იტალიელი ელჩი ამბროსი კონტარინი თავის დღიურში მოგვითხრობს, რომ იგი მისმა მთავრობამ ირანში გაგზავნა ირანის შაჰ უზუნ-ჰასანთან მოსალაპარაკებლად. ირანში მას უნახავს სხვა ქვეყნების წარმომადგენლები და მათ შორის მოსკოვის მთავრის იოანე III-ის ელჩი „მარკოზ რუსი“.

კონტარინი აღნიშნავს: როდესაც ჩვენ ყველამ ირანის შაჰთან მოლაპარაკება მოვათავეთ, გადავწყვიტეთ ერთად გვემოგზაურა საქართველოს მეფის სამფლობელოზე გავლით, ხოლო აქედან ზღვითა და ყირიმის ნახევარკუნძულით ჩვენს ქვეყანაში გადავსულიყავით. 1475 წლის ივლისში ელჩები, მათ შორის მოსკოველი ელჩიც, საქართველოში მოსულან, რამდენიმე დღე თბილისშიც დარჩენილან. იტალიელ ელჩს საკუთარი თვალთ ნახული იმ დროია თბილისი ალწერილი აქვს თავის დღიურში. თბილისიდან ელჩები დასავლეთ საქართველოში გადასულან, გზაზე ერთი ტყის მახლობლად ბაგრატ მეფე უნახავთ. იტალიელ ელჩს ქართველი მეფის გარეგნობა ძალიან მოსწონებია. ბაგრატს ელჩები სადილზე მიუპატიებია. აქედან უცხო ელჩები ფოთამდე მისულან, მაგრამ აქ გაუგიათ, რომ ყირიმის ზოგიერთი ქალაქი და ნავსადგურები ოსმალო თურქებს დაუბერიათ. ამით ელჩების მოგზაურობის გეგმა ჩაშლილა. მოსკოველი ელჩი თავის მხლებლებით სამცხე-საათაბაგოზე გადავლით შამა-



ხიამი გადასულა, აქედან დარუბანდით ასტრახანში და შემდეგ ვოლგით მოსკოვს ჩასულა.


ჩვენს ქვეყანაში რომ კარგად სცოდნიათ მე-15 საუკუნის მოსკოვის მთავრის სიძლიერე, ეს ნათლად სჩანს ქართველი მეფის მიერ მოსკოვის მთავრისადმი გაგზავნილი ჩვენამდე მოღწეული ერთი წერილიდან.

მოსკოვში დღესაც დაცულია ქართველი მეფის ალექსანდრეს მიერ მოსკოვის მთავრის იოანე მესამესადმი გაგზავნილი წერილი. იგი 1491 წელს არის დაწერილი. იმ დროს საქართველოში, რა თქმა უნდა, რუსული არაფერი იცოდა, არც მოსკოვში იყვნენ ქართული ენის მცოდნენი, მაგრამ ქრისტიანულ სახელმწიფოებს ბერძნული ენა ჰქონდათ საერთაშორისო ურთიერთობის დროს გამოსაყენებლად. ისე რომ ქართველი მეფის ალექსანდრეს წერილი ორ ენაზე იქნებოდა დაწერილი — ერთ მხარეზე ქართულად, მეორეზე ბერძნულად. სწორედ ამ ბერძნული ტექსტის საშუალებით გაიგეს მოსკოვის მთავრის მოხელეებმა ალექსანდრეს წერილის შინაარსი და იგი რუსულ ენაზე უთარგმნეს იოანე მესამეს.

აი რას სწერდა ქართველი მეფე ალექსანდრე მოსკოვის მთავარს: „დიდ მეფეს და ბატონს, დიდ მთავარს მღაბალი პატივისცემა. გაცნობებ, რომ შორეულ ქვეყნიდან, მაგრამ მისწრაფებით შენთან ახლო მყოფი... ალექსანდრე სალამს მოგიძღვნი... ლაყვარდოვანი ცის ვარსკვლავო, ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების ბურჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფე... კეთილშობილ ხელმწიფეთა ბედნიერებით ჩვენ აქ ივერთა ქვეყანაში ჯანსაღად ვართ, თქვენს კარგად ყოფნასაც რომ გავიგონებდე... და კიდევ ამას გაცნობებ, რომ მრავალი თაყვანისცემით თქვენს საბრძანებლოში წარმომივლენია ჩემი ელჩები ნარიმანი, დამიანე და შაქელი ხოხეშარუმი თქვენი ჯანმრთელობის გასაგებად. დმერთმა ქნას მუდამ ბედნიერად ყოფილიყო... ალექსანდრე“.



ამ წერილიდან ვგებულობთ, რომ 1491 წელს ქართველები ნარიმანი და დამიანე მოსკოვში გაუგზავნია ალექსანდრე მეფეს. მე-15 საუკუნის მოსკოვი ქართველებმა იხანულეს. მაგრამ საინტერესოა, რისთვის გაიგზავნენ ელჩები საქართველოდან? წერილიდან ისე გამოდის, თითქოს ნარიმანსა და დამიანეს დავალებული ჰქონდათ მოსკოვის მთავრის ჯანმრთელობა მოეკითხათ და ამის გაგების შემდეგ სამშობლოში ეს ამბავი მოეტანათ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. საქართველოდან მოსკოვში წასვლა იმ დროს არც ისე იოლი საქმე იყო. მამინ ფეხით, ცხენით ან ნავით მოგზაურობდნენ და ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი უნდა ყოფილიყო მოსკოვს მისვლა. ადამიანს ხომ არ შეეძლო დაუსვენებლად ემოგზაურა ფეხით ან ცხენით. მგზავრობა ხანგრძლივი დასვენების შემდეგ ვრძელდებოდა ხოლმე. ასე რომ მგზავრს ერთი წელიწადი იქით სჭირდებოდა და ერთი აქეთ. იყო შემთხვევა, როცა სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის მიერ გაგზავნილ



ელის სამი წელიწადი დაავიანდა გზაში — 1636 წელს გამგზავრებული 1639 წელს მივიდა მოსკოვს.

რა აზრი ექნებოდა ასეთ პირობებში ალექსანდრე მეფის მიერ ელჩების მოსკოვში გაგზავნას მარტო იმისათვის, თუ როგორ გრძობდა თავს მოსკოვის მთავარი.

ჯანმრთელობის მოკითხვა უბრალო ზრდილობის წესია. ელჩებს სხვა უფრო მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდათ, მაგრამ წერილში ამის დაწერა მიზანშეწონილი არ იყო. ელჩებს უნდა გაეცლოთ მაჰმადიან მფლობელთა ტერიტორიაზე, კერძოდ, თათართა სახანოებზე (მაშინ ჯერ კიდევ ოქროს ურდო არსებობას განაგრძობდა, ზევით ყაზანის სახანო იყო) და აქ მოსალოდნელი იყო ელჩების გაძარცვა, მეფის წერილი მტერს შეიძლება ბელში ჩაეარდნოდა და სახელმწიფო საიდუმლოება გამოაშკარავდებოდა. ამიტომ ელჩებს სახელმწიფო ხასიათის დავალება დაზეპირებული ჰქონდათ და როცა დანიშნულებისამებრ მივიდოდნენ, იქ მოახსენებდნენ. აი ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართველი მეფის წერილში მოკითხვის მეტი არაფერი სწერია. თუ ნამდვილად რისთვის გაიგზავნენ ელჩები მოსკოვს, ამაზე შემდეგი მოსაზრება არსებობს: რაკი თურქეთის გაძლიერებამ ქრისტიანული სახელმწიფოები მძიმე პირობებში ჩააყენა და თურქეთის საწინააღმდეგო კავშირის შექმნას აწყობდნენ მე-15 საუკუნეში, ხოლო ქართველები ამ საქმეში დიდ ინიციატივას იჩენდნენ, შესაძლებელია საქართველოს მეფე მოსკოვის მთავარს თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის მოწყობის გამო ეთათბირებოდა თავისი ელჩების მეშვეობით.

საქართველოს რომელმა მეფემ დაამყარა პირველად ურთიერთობა მოსკოვთან, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რომელმა ქართველმა სამეფომ დაამყარა ურთიერთობა პირველად მოსკოვთან, ანდა სხვანაირად — სადაურები არიან ნარიმანი და დამიანე — სა-

ქართველოს რომელი კუთხის მოქალაქემ ნახა პირველად მოსკოვი?

ამაზე პასუხი თითქოს არც ისე მწილია: რომელ სამეფოშიც ალექსანდრე ერეკლე 1491 წელს მეფეს, იმ მხარიდან იქნებიან ნარიმანი და დამიანე. ეს მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ 1491 წლისათვის საქართველოში ორი ალექსანდრეა. ერთი ალექსანდრე ბაგრატიის-დე იმერეთში, მეორე ალექსანდრე გიორგის-დე კახეთში. რომელია ამათგან მოსკოვში წერილისა და ელჩების გამგზავნი?


ამჟამად უკვე გარკვეულია, რომ წერილი ეკუთვნის კახთა მეფეს ალექსანდრე გიორგის-ძეს. პირველი ქართველი, რომელმაც მოსკოვში იმოგზაურა და იოანე III და მისი მოსკოვი/ნახა კახელი მოქალაქე იყო.

ამის შემდეგ, მე-16 საუკუნიდან მოკიდებული რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა უფრო მტკიცე ხასიათისაა. მოსკოვის სახელმწიფოს საზღვრები მე-16 საუკუნეში კავკასიონის ქედამდე მოდის. იოანე მეოთხემ (მრისხანემ) ვოლგაზე თათართა სახანოები გაანადგურა და რუსეთმა ჩერქეზებამდე მოიღვა ფეხი. გამარტივდა მიმოსვლა და რუსეთის დახმარების შესაძლებლობა უფრო საიმედო შეიქნა. იოანე IV-ის დროს მოსკოვის მეფის ერთი რაზმი კახეთში გამოიგზავნა და რამდენიმე წლის განმავლობაში კახეთის მთის ციხეებს რუსები იცავდნენ.

ასე დაიწყო ამ ორი ხალხის — მოსკოვის რუსებისა და ქართველების ურთიერთობა და მეგობრობა, ამას რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს. დღეს ქართველი ხალხისა და დიდი რუსი ხალხის მეგობრობა სულ სხვა პირობებში მიიმართება. ჩვენ ერთი გზა გვაქვს, ერთი მისწრაფება, ერთად ვიტანთ ჭირსა და ლხინს. არაერთმა ქართველმა რუს მეომრებთან ერთად სიცოცხლე შესწირა სამშობლოს დიდ სამამულო ომში. ყოველი ქართველი დღეს რუსეთის მოქალაქესთან ერთად მხიარულობს და დღესასწაულობს მოსკოვის გმირული არსებობის 800 წლისთავს.

პროფესორი იანსე ცინცაძე

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი





მთავრობის დადგენილებით მოსკოვში საბჭოთა მოედანზე მშრო-
მელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს შენობის წინ დაიდგება
მოსკოვის დაძაარსებლის იური დოლგორუჟის ძეგლი.
სურათზე—იური დოლგორუჟის ძეგლის პროექტი, შესრულებულ ღი
სტალინური პოემიის ლაურეატის მოქანდაკე ს. ორლოვის მიერ.

ღიადი ქალაქის შესახებ...

„...პეტერბუოგი უმოსკოვოდ იგივეა, რაც
ცალი ხელი“.

„მოსკოვის მუშების დაუფიწყარმა გმირო-
ბამ ბრძოლის მაგალითი მისცა რუსეთის
მშრომელთა მთელ მასას“.

ვ. ი. ლენინი

„ყოველი რუსი ადამიანი შეჰყურებს მოს-
კოვს, როგორც დედას“.

ლევ ტოლსტოი

„რუსეთის ქალაქებს შორის მოსკოვი ყვე-
ლაზე ჭეშმარიტი რუსული ქალაქია, წმინდა
რუსული სიძველით აღბეჭდილი. ამიტომ-
ცაა, რომ არსად სხვაგან რუსი ადამიანის გუ-
ლი ისეთი ძალით და ისეთი სიამით არა
სძევრს, როგორცადაც მოსკოვში“.

ბ. ბელინსკი

„ეჰ ძებო, ლხენით ვიგონებ დროებს,
როცა ძველ საყდრებს და სამრეკლოებს,
სასახლეებს და ბაღებს მოვკარი
გაოცებულმა პირველად თვალი.
ხშირად სევდიან განშორებაში,
მოხეტილად რომ დამყვა ბედი,
მოსკოვო, მე შენ მოვიგონებდი!
მოსკოვი!... რუს კაცს ამ ერთ სიტყვაში
რაოდენი რამ ესალმუნება
და მშობლიურად ეხმაურება“

ა. პუშკინი

„მოსკოვი — ქალაქია მარად განახლების
გზაზე მდგარი, მარად ნორჩი; მოსკოვიდან
ტალღებად მიედინება და რუსეთს ერთვის
ღიადრუსული, ხალხური ძალა“.

ა. ი. ოსტროვსკი

„როგორ შეიძლება არ გიყვარდეს მშობ-
ლიური მოსკოვი?!“

ბარატინსკი

„...მოსკოვი არაა ჩვეულებრივი ქალაქი, როგორც ათასებია; მოსკოვი არაა ცივი ქვე-ბისაგან აგებული მდუმარე ბუმბერაზი... არა! მას თავისი სული აქვს, თავისი ცხოვრება... ყოველი მისი ქვა ინახავს დროისა და ბედისწერის მიერ დაწერილ წარწერას... მდი-დარს, აღსაყვას აზრებით, გრძობითა და მთავარებით სწავლულისათვის, პატრიოტისა და პოეტისათვის!“

„მოსკოვო, მოსკოვო!... მიყვარხარ შენ,
როგორც შეიღს,
როგორც რუსს, — მძლავრად,
მგზნებარედ და ნახად!“
მ. ი. ლერმონტოვი

„...ვიხილე უნივერსიტეტი, თეატრი, ბიბ-ლიოთეკა და სხვანი ჩინებულბანი ყოვლით კერძო, გამოვიარე მოსკოვი, ვრცელი ესე და ჩინებული ქალაქი.“

სოლომონ დოდაშვილი

„მე ვისურვებდი მეცხოვრა და მოემკვდა-რიყავი პარიზში, რომ ქვეყნად მოსკოვი არ მეგულეობდეს.“
„არის ცნობილი, რომ დედამიწა კრემლით იწყება.“

ვლ. მაიაკოვსკი

„ჩემი სიბერე ბედნიერებამ გაასხივოსნა. აღსრულდნენ ჩემი ოქროს სიზმრები: მე ვი-ყავი მოსკოვში, რომელიც ზღაპრულ გიუ-ლისტანზე უფრო მომნიბლავია. მე ვნახე სტალინი!“

ჯამბული

„მეგობრებო! რუსეთი დიდია, მაგრამ უკან დასახევი გზა არა გვაქვს: ჩვენს უკან მოს-კოვია!“

ვ. კლოჩკოვი

საბჭოთა კავშირის გმირი

„მიიღე ჩვენი სალამი,
შუქურავ მთელი ქვეყნისა!
ბრწყინავდეს სამარადისოდ
ვარსკვლავი შენი კრემლისა!
ხალხთა მშობის და კავშირის
გაურღვეველი ზღუდე ხარ,
მაღალ აზრთა და გრძობათა
დაუნგრეველი ბუდე ხარ,
უფრო ამადლი, რომ შუქით
მთელი ქვეყანა აღადლო,
ქალაქთა შორის რჩეულო,
ბრწყინვალე დედაქალაქო!“

**ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი,
გ. ლეონიძე**

„მოსკოვო, გულო რუსეთისა! დედაქალაქო რესპუბლიკისა! რაოდენი რისხვა, რა გზნება, რა სიამაყეა აღბეჭდილი შენს მშვენიერ ქალაქ ხეზე! შენ საკომანდო პუნქტი ხარ ქვეყნისა სილი განმათავისუფლებელი ლაშქრობისა. მოსკოვი — ეს სტალინი! მოსკოვი წინაშე ფიცს სდებენ, მოსკოვს აღუთქვამენ. მოსკო-ვის სუნთქვა აგიზგივებს ცეცხლს ბრძმე-ლებში.“

ილია ერენბურგი

„მოსკოვი, ქალაქი დიადი, ქალაქი საკვირ-ველი, ქალაქი ხალხმრავალი, აღსაყვ სიმ-ლიდრითა და დიდებით, აღემატება თავისი ღირსებით რუსეთის მიწა-წყლის ყველა ქა-ლაქს.“

რუსული მატთანედან

„მოსკოვი საბჭოთა ადამიანების სიამაყეა. ეს არის ქალაქი, სადაც ცხოვრობს და მუ-შაობს დიდი სტალინი. ბედნიერი ვარ და ვა-მაყობ, რომ მოსკოველი ვარ.“

ძველი მუშა კობიაკოვი

„მოსკოვი ჩვენთვის მშობლიური სახლი-ცაა და სკოლაც...“

დებორა ვარანდი

ესტონელი პოეტი ქალი

„მოსკოვო! მე სტუმრად კი არ
მოესულვარ შენთან,
მე შეილი ვარ შენი, შენს მიერ
ბრძოლაში შობილი,
და ყოველ დღე, როცა კვლავ გხედავ შენ,
უფრო მშობლიური, უფრო ახლობელი
ხდები ჩემთვის.“


ა. ხალდურდი

თურქმენი პოეტი

„საკმარისი იყო მზის ერთი სხივი, რომ მოსკოვი — ეს შესანიშნავი ქალაქი გაბრ-წყინებულიყო მრავალნაირი ფერადებით. მის დანახვისას მოგზაური ადგილზე ჩერდე-ბოდა განცვიფრებული და აღტაცებული.“

გრაფი დე სეგიური
ნაპოლეონის ადიუტანტი





თერთმეტი რაზმის შეკრება

დარბაზში ხმაური შესწყდა.

პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან საზეიმოდ მორთული პიონერები. თეთრი ხალათები და შავი შარვლები აცვიათ. მკერდზე პიონერული სამკერდე ნიშნები აქვთ გაკეთებული, ყელზე კი ყელსახვევები. მარჯვნივ პიონერთა რაზმეულის მედრომე დვას და ხელში რაზმეულის დროშა უჭირავს. ყველა მათგანი მოწინავე პიონერები არიან — თბილისის მეექვსე ვაჟთა სკოლის პიონერთა რაზმეულის საბჭოს წევრები. მათ ირგვლივ მასწავლებლები და სტუმრები სხედან.

მზიანი დღეა. ფართო ფანჯრებიდან უხვად შემოდის შუქი. ვაკის განუყრელი ნიავი არ ასვენებს მეორე სართულის ფანჯრებამდე მოღწეულ ახალგაზრდა ნაძვების კენწერებს. თვალის დამატკობლად ჩანს ქალაქის მიდამოები, მაგრამ ფანჯრებში არაფერია იხილება. დარბაზში მყოფი ყველა პიონერის ყურადღება მომხსენებლისაკენ არის მიპყრობილი. მომხსენებელი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე რეზო ბოკერია პრეზიდიუმის მაგიდასთან დვას და აუღელვებლად ანგარიშგებას აკეთებს.

პიონერთა თერთმეტი რაზმი უსმენს მომხსენებელს. ისმენენ თავიანთი პიონერული საქმიანობის ავსა და კარგს. მომხსენებლისგან ზოგიერთი გულისფანცქალით მოელის თავისი სახელის ხსენებას, რადგან აამაყებს თავისი კარგი მუშაობა. ზოგიერთისთვის კი უმჯობესია არ ახსენებდნენ, რადგან არაფერი აქვს გაკეთებული პიონერულ საქმიანობაში და თავისი სახელის ხსენება შეარცხვენს მას შეკრების წინაშე.

ამ დროს დარბაზში გაისმის რეზო ბოკერიას ხმა:

— საერთო პიონერულ მუშაობაში გამოირჩეოდნენ პიონერები გაბისონია, ლომინაძე, ტატიშვილი და სხვები, მაგრამ აღმოჩნდნენ ამხანაგები, რომლებიც გაურბოდნენ მუშაობას. ასეთების საქციელი განიხილეს რაზმების საბჭოებმა და ვამხილეთ კედლის გაზეთში. ამ ღონისძიებამ ზოგიერთი მათგანი დააფიქრა და ბოლოს პიონერულ საქმიანობაში ჩააბა.

მომხსენებელი რეზო არ მალავს რაზმეულის საბჭოს მუშაობის ნაკლსაც და განაგრძობს: — უფროსი პიონერხელმძღვანელი,

რომელიც შარშან მუშაობდა ჩვენთან, სუსტი მუშაკი აღმოჩნდა. ამის შედეგად ბევრი რამ ვერ გავაკეთეთ; ვერ გავშალეთ საკმაო მუშაობა წრეებში, საგრძნობლად ვერ ვიმოქმედეთ დისციპლინის დამრღვევ ამხანაგებზე... უფროსი პიონერხელმძღვანელი შეცვლილ იქნა სხვა ამხანაგით.

რაზმეულის საბჭოს მუშაობის მიღწევებიდან მომხსენებელი ყურადღებას ამახვილებს მშობლიურ მხარეში ექსკურსიების მოწყობაზე.

— ამ ექსკურსიებიდან, — ამბობს რეზო, — ჩვენთვის დაუვიწყარია ქალაქ გორში მოწყობილი ექსკურსია. იქ ვნახეთ სახლი, რომელშიც დაიბადა დიდი სტალინი. ვნახეთ ბელადის ბავშობასთან დაკავშირებული ადგილები და ჩვენი დღიურის რვეულები ავაესეთ ჩანაწერებით.

გორის ციხიდან გადავხედეთ გორს. მრავალი ახალი და ლამაზი შენობა, ქალაქის ტერიტორიაზე გაფანტული, ერთად დავინახეთ და ვიგრძენით, რა მალე და შნოიანად იზრდება გორი.

რეზომ თავისი მოკლე მოხსენება დაამთავრა და დაჯდა. პრეზიდიუმში მყოფ ამხანაგებს გადახედა, თითქოს თვალებით ეკითხებოდა მათ: ზედმეტი ხომ არაფერი მითქვამს, ან ხომ არ გამომრჩა რაღაც.

დარბაზში გაისმის უფროსი ხელმძღვანელის შალვა გელიაძის ხმა. იგი სიტყვას აძლევს ლევან კაველაძეს. ლევანს სცვლიან პიონერები მელაძე და ამაშუკელი. მათი სიტყვები ეხება პიონერულ მუშაობას რაზმებსა და რგოლებში.

რეზო ამაშუკელი თავის სიტყვას ამთავრებს რაზმეულის შეკრებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსით.

უფროსი ამხანაგების — კომკავშირელთა გულის ნადებს, პიონერებისადმი მათ დახმარებას გამოხატავს სკოლის კომკავშირელთა კომიტეტის მდივნის რევაზ ჩაფიძის მოკლე და საქმიანი სიტყვა.

კლასის ხელმძღვანელი თინა მელქაძე ლაპარაკობს იმ გულისხმიერებასა და მზრუნველობაზე, რასაც მასწავლებლები იჩენენ პიონერებისადმი, და მოუწოდებს მათ იყვნენ მზად ლენინ-სტალინის საქმისათვის, რასაც დარბაზი უპასუხებს საერთო შეძახილით: — მზად ვართ!

სკოლის დირექტორი იპოლიტე სურგულაძე მამობრივი ღიმილით გამოდის შეკრების წინაშე — სიყვარულით აღნიშნავს რაზმეულის მუშაობის ნათელ მხარეებს და მოუწოდებს პიონერებს მომავალში უფრო კარგად იმუშაონ, ისწავლონ კარგად და წარჩინებით.

შეკრების მონაწილენი სკოლის საყვარელ დირექტორს პირობას აძლევენ, რომ წარჩინებით ისწავლიან.

შეკრება ირჩევს რაზმეულის საბჭოს 15 მოწინავე პიონერის შემადგენლობით.

შეკრების საზეიმო ელფერი საზეიმოდ დაასრულა მხატვრულმა განყოფილებამ.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს პიონერებმა წერეთელმა და კაველაძემ.

რაზმეულის საბჭოში არჩეულმა რევაზ ამაშუკელმა თავის ბაიანზე წარმატებით შეასრულა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, შტრაუსის ერთ-ერთი ვალსი და სხვა მუსიკალური ნომრები. მისი გამოსვლა იმდენად მოეწონათ დამსწრეთ, რომ ფოტოგრაფმა, რომელიც შეკრებაზე სტუმრად იყო მოსული, მას სურათი გადაუღო.

გორის პიონერი





ლენინის უბანში

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება მოისმინეს. იკამათეს. აღნიშნეს, რომ რაზმეულის განვლილი მუშაობა არ იყო ცუდი, მაგრამ მოითხოვდნენ მომავალში მეტი ექსკურსიები მოეწყოს, ჩატარდეს საინტერესო შეხვედრები უფროს ამხანაგებთან, მოსმენილ იქნას გამოცდილი მასწავლებლის საუბრები...

დაიწყო რაზმეულის ახალი საბჭოს ასარჩევი კანდიდატების დასახელება.



— მე ვასახელებ კლარა კახიძეს, როგორც საუკეთესო მოსწავლეს,—ამბობს ეთერ მახარაშვილი.—ზაფხულში მან სოფლად თავთავების აკრეფაში კარგად იმუშავა და კოლმეურნეობის გამგეობის მადლობა დაიმსახურა. შინ დედას შევლის. უმცროს ძმას, რომელიც წელს მიიღეს სკოლაში, კლარამ წერა-კითხვა ასწავლა.

— ჩემი კანდიდატია ნათელა ქსოვრელი,—ამბობს მაღალი, ნაწნავებიანი გოგონა ეთერ ბლაგიძე.—ნათელას ყველა საგანში ხუთიანი აქვს. უყვარს წიგნების კითხვა. ჩვენს რაზმში ხშირად ვეკითხავდა ახალ წიგნებს. მოთხრობა „პოლკის შვილი“, რომელიც ნათელამ წაგვიკითხა, ყველას მოგვეწონა.

პიონერი გოგონები სიყვარულით ასახელებდნენ რაზმეულის საბჭოს ასარჩევი კანდიდატებს. ახსიათებდნენ მათ როგორც რჩეულებს, დისცაპლინიან და წარჩინებულ მოსწავლეებს.

თბილისის ქალთა 38-ე სკოლის პიონერთა შეკრებამ აირჩია რაზმეულის საბჭო.

საბჭოს პირველ სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ კლარა კახიძე დაასახელეს. კედლის გაზეთის რედაქტორად აირჩიეს ნათელა ქსოვრელი, მედროშედ კი ლეილა გორდელაძე.





მ ო თ ხ რ ო ბ ა

თითქმის ერთი თვეა, რაც ამ აგარაკზე ვარ. ჩვეულებრივი, პატარა რუსული ქალაქია, მყუდრო, უხმაურო. აბეზარი სიცხე არ მიგვრძნია, ზღვა ანელებს აქ მზის მხურვალეობას. ხანდახან რომელიმე საოკეანო გემი გამოჩნდება აგარაკის ახლოს და მაშინ ჩასუქებული, გატრუსული რუსი ბიჭუნები სტვენითა და ყიყინით გაცურდებიან კობჯა ბაიდებით.

ძველთაგანვე ეს აგარაკი მეთევზეთა ქალაქი ყოფილა. ახლაც უამრავი მებაღური ცხოვრობს აქ. ყოველ დღით, როცა საბანაოდ ზღვას მივაშურებ, მეთევზეთა სიმღერა მესმის. ბადეებს შლიან, ჰყეცავენ, ბაიდებში ჰყრიან ცოცხალ თევზებს და ნაპირისაკენ მოსცურავენ.

ყველაზე უფრო ერთ მოხუც მეთევზეს შევეწყე. ანტონ ივანეს-ძე კოვალიოვი მთლად გათეთრებულია სიბერისაგან. ფეხით შემოვლილი აქვს თითქმის მთელი რუსეთი. ერთხანს თურმე ბუხარაში ემსახურებოდა ბუხარის ემირს, როგორც ვიოლინოს დამკვრელი. მერე აქ მოსულა და ზღვისთვის მიუხდვია თავისი ცხოვრება.

შემთხვევით დაიწყო ჩვენი ნაცნობობა: სანაპიროს მივდევდი, ჩუმად, ჩემთვის ვლინებდი. კოვალიოვი ბადეს ასუფთავებდა, მუხლებამდე წყალში იდგა. ბაიდა მოზრდილ პალოზე გამოება. მივედი. ბაიდა ვთხოვე. მთელი სახით გამილიმა, გული გამიხსნა. ის იყო და ის, მის შემდეგ მისი მეგობარი გავხდი.

სალამობით, როცა მზე თავის სხივებს მთებს ამოფარებს, კოვალიოვების ოჯახში მივდივარ. მათი სახლი ერთი მოზრდილი გორაკის ფერდობზეა. სახლის წინ თივის ზვინები დგას. მივალ, პაპა კოვალიოვი პატარა უხინჯო თვალებით გამილიმებს. დავსხდებით და... ათასნაირი ამბების მოყოლაში ვათენებთ.

აზარტის კაცია. ჰყვება კაზაკების ცხოვრებას, მეთევზეთა დაუსრულებელ თავგადასავალს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ანტონ ივანეს-ძე ცოტას აზვიადებს.

ერთხელ, საღამო ყამს, ზღვის ნაპირს მიეყვებოდი. ფიქრში ვართულს არც კი მიგრძენია, როგორ გამოვმორდი ქალაქს. ჩემს წინ გორაკი იდგა. გამოვფხიზლდი. შინ დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ იმწამსვე შევცვალე გადაწყვეტილება. „ამდენი ხანია აქ ვცხოვრობ და ერთხელაც არ მომსვლია აზრად ამ გორაკს იქით გამეხედა. მოდი დავათვალიერებ იქაურობას“.

გორაკისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს გავყევი. ეკლნარი იყო. ასკილის ბარდები მკებნდნენ სხეულზე. ფრთხილად მივდიოდი. დაცერილზე დავეშვი. მარჯვნივ სანატორიუმის თეთრი კორპუსები სჩანდნენ. მათკენ ვავეშურე.

„სირცხვილია, ამდენი ხანია აქა ვცხოვრობ და არც კი შემიძინე“.

გზა წითელყელსახვევიანმა ბავშვებმა გადამიჭრეს. ყიყინით მიჰქროდნენ თავდაღმართზე. წინ გამიბრინეს და მარჯვნივ აუხვიეს. უნებლიეთ თვალი გავადევნე. გორაკზე მდგომ ქანდაკებასთან შეჩერდნენ.

პიონერთა ჯგუფს ორი ცქრიალა გოგონა გამოეყო. ორივეს ლამაზი თაიგული ეჭირათ. საერთო სიჩუმეში ნელა მიუახლოვდნენ ქანდაკებას და თაიგულები კვარცხლებეკზე დააწყეს.

ერთხანს მშვიდად იდგნენ, მერე ბილიკს ვაეფინენ.

ქანდაკებისაკენ ვავემართე. ბუნების უმშვენიერეს სილამაზეში, ვარდებსა და რელებს შორის იდგა ყმაწვილის ქანდაკება. მას სახე გახსნილი ჰქონდა. გაჰყურებდა ხეებს იქით თვალმისაწვდომზე ლურჯად გაწოლილ ზღვის ბობოქრობას.

პაპა კოვალიოვმა ჩიბუხი მარცხენა ხელის გულზე დაიდურთხა. ჩაახველა. მოწმენდილ ცას გახედა.



გვიანი ღამე იყო. მღუმარება დაუფლებოდა მეზღურთა ქალაქს, მხოლოდ ზღვა ბოზქობდა.

—სწორედ ასეთი ღამე იყო,—დაიწყო მოხუცმა კოვალიოვმა,—დაცლილ ქუჩებში გერმანელთა პატრულები მიმოდიოდნენ. ჩვენ არ გვეძინა. ზღვის ნაპირზე ვეყარეთ ხელებშეკრულები. სულ ათი ვიყავით—ქალები, მოხუცები და პატარები. ყველაზე პატარა ვანია ხარიტონოვი ვერ ისვენებდა. პარტიზანი ბიჭუნა ვერ შერიგებოდა ტყვეობას. ვეყარეთ გათენებამდე, ხოლო როცა ინათა, მოტორიანი ნავი მოადგა ნაპირს. ათივე შიგ ჩაგვყარეს გერმანელმა ფაშისტებმა, უფრო სწორად რომ ვთქვა, ჩაგვაწყეს. მერე წაგვიყვანეს ვინ იცის საით. უკან დარჩა სროლის ხმა. ოხრავდა მეზღურთა ქალაქი.

მივცურავდით დიდხანს.

მოულოდნელად ნავი გაჩერდა.

— მოტორი გაფუტდა!—დაიძახა მორჩილი ტანის გერმანელმა.

სამმა გერმანელმა დაიკაპიწა ხელები. მოტორის შეკეთება დაიწყეს. აკეთებდნენ დიდხანს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ბოლოს მობეზრდათ.

— სათადარიგო ნიხბები!—ბრძანა მათმა უფროსმა.

უფროსის ბრძანება შესრულებული იქნა.

გერმანელები ძლივს მიათრევდნენ ხის ნიხბებით მძიმე ნავს, ოფლად იღვრებოდნენ.

ასე ვიცურეთ დიდხანს. ბოლოს ფაშისტმა დაიძახა:

— განვტვირთოთ ნავი, რუსები გადავყაროთ ზღვაში!

ნავი შეჩერდა. უფროსმა თავის თანამემამულეებს გადახედა.

— კენჭი ვყაროთ!—სთქვა მან.

— კენჭი ვყაროთ!—დაეთანხმა ეკიპაჟი.

ფაშისტები დაფაცურდნენ. ერთმა, უფრო მხიარულმა, მოიხადა ქუდი. მეორემ ჯიბიდან ქალაღი ამოიღო, გაშალა და ათწილად გასჭრა. სამ მათგანზე თავის ქალა დახატა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ტყვეთაგან, ვისაც თავისქალიანი ქალაღის ნაჭერი შეხვდებოდა, ის ზღვაში იქნებოდა გადადებული.

გერმანელმა ქალაღის ნაჭრები საგულდაგულოდ შეაგვია და მეგობრის ქუდში ჩაყარა.

დაიწყო საბედისწერო ჟამი...

პაპა კოვალიოვი შეჩერდა და ცას გახედა. ვარსკვლავებით მოჭედლიყო ის. მთვარე ნელნელა მიიკვლევდა გზას ღრუბლების ხეულებში. თვლემდა მეზღურთა ქალაქი.

პაპა კოვალიოვმა ჩაახველა.

— დიახ,—განაგრძო მან,—დაიწყო საშინელება, ყველა ტყვე მოვალე იყო ქუდიდან ამოელო მრგვლადდახვეული ქალაღი და ის, ვისაც თავისქალიანი შეხვდებოდა, ნავს დასტოვებდა.



ჩვენთვის, მოხუცებისათვის სიცოცხლე არად ღირდა. გვაწუხებდა მხოლოდ ახალგაზრდა ქალის—ვანდას ბედი, რომელსაც ორი წლის ბავშვი გულზე ჰყავდა მიხუტებული.

ბედმა სწორედ მას უღალატა. თავისქალიანი ქალაღლის ნაჭერი გამხდარი თითუბით გაშალა და სასოწარკვეთილებით ამოიგმინა.

— ჯალათებო, მაგის მაგიერ მე გადამაგდეთ ზღვაში!—წამოიძახა პატარა პარტიზანმა ხარიტონოვმა.

გერმანელებმა გულგრილად გაიცინეს ხარიტონოვის წამოძახილზე.

ვანდას გარდა კიდევ ორს უღალატა ბედმა. მათ შორის ჩემს ქალიშვილსაც. გერმანელები მიცვივდნენ განწირულებს.

ვანდას მაგრად მოხვია პატარამ ხელემა. თითქოს იგრძნო დედის წინაშე აღმართული საშინელება. ვანდა შებორკილი ხელებით ნავის მოაჯირს დაეკიდა.

ძნელია სიკვდილი, როცა პირდაპირ თვალებში ჩაგყურებს მსხვერპლს.

პაპა კოვალიოვმა თვალები ამოიწმინდა. სახე კუმტად შეეკრა. ასე იმ აღამიანება ემართებათ, რომელთაც დიდი ვაჭირვება უნახავთ და მისი მოგონება ყრუანტელს ჰკვრით.

პაპა კოვალიოვმა თხრობა განაგრძო:

ეძინა მებაღურთა ქალაქს.

— საბრალო ჩემი ქალიშვილი! გული ჩამწყდა, ლამის გონება დავკარგე, როცა მისი

უკანასკნელი „მამა, მიშველე“ ყალყზე ამდგარ ტალღასთან ერთად გაჰქრა.

პატარა ბიჭმა ხარიტონოვმა ვანდას ჩასტეკა და ხელი.

— მე, მე გადამაგდეთ!—ყვიროდა ის. სახე გაოფლიანებული და აღგზნებული ჰქონდა.

ფაშისტებმა მძიმედ ასწიეს ორი აღამიანის სხეული, მესამე ვანდას ბავშვი იყო.

— გადაჰყარეთ!—გაისმა უფროსის მკაცრი ხმა.

სამი სხეული გაეკრა ზღვას... ისიც, პიონერი ხარიტონოვიც მათ დაუმატეს.

პაპა კოვალიოვმა ჩიბუხი დინჯად დაფერთხა.

— ხალხმა შეინახა მათი სსოვნა. ახლა ჩვენს ქალაქში ბევრი რამ შენდება. მებაღურთა ქალაქის პიონერებმა ვალდებულება აიღეს დაედგათ ხარიტონოვის ძეგლი. შეაარულეს კიდევ.

მაღე ჩვენი აგარაკი დამსვენებლებით აივსება. მოვლენ პიონერებიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, მოვლენ და მათ დახვდებიან ძეგლი გულადი პიონერისა, რომელიც მათ ასწავლის სამშობლოს სიყვარულს, გვირობასა და მამაცობას.

კოვალიოვი დადუმდა, ნელა წამოდვა მეც წამოვდექი. ცას გავხედე: აღმოსავლეთს ეცეხლი მოსდებოდა. თივის ზვინება ჩრდილი მოეხსნათ ეზოში.

თენდებოდა მებაღურთა ქალაქში.

გულადი პიონერის ქანდაკება ამაყი თვალებით გაჰყურებდა ზღვას.

პიონერების სიმღერა

ჩვენ ვართ მართვენი არწივის...
ვიზრდებით ნეტარ ხანაში,
გმირებზე გვიმღერს სამშობლო
და დედა იავნანაში.

დიდ ვაჟკაცების ყიჟინში
ძალა გვეძლევა რვალისა,
ვართ სიხარული აწმყოსი
და სხივი მომავალისა!..

შარვა შავიანთილი



ბახმაროსი გახმაროდე



მანქანის საყვირის ხმამ გაგვადვიდა. 19 ავ-ვისტოს დილის 6 საათია.

10 წუთში მზად ვართ; ბახმაროსავენ მი-ვემგზავრებით. გვევლით ნაცნობ ეზოდან. ვშორდებით მახარაძის ლამაზ ქუჩებს. ნო-ტიო დილაა. გორტენზიების უხვი მტევნები მიწამდე იხრებიან ნიავის ოდნავ წამობერ-ვაზე.

სოფელ ვაკიჯვარში ჩამოვსხედით. აქედან იწყება ქედიქედ მოკლე გზა ბახმაროსაკენ. ეინჟლავს. მანქანა გავისტუმრეთ. დუქან-თან ჩალანდრები ჯგუფად დგანან. ბევრ-ჯერ მსმენია მათი ამბავი. მეტად საინტერე-სო ადამიანები არიან. უმეტესობა აჭარლე-ბია. გულმოდგინედ გაუკრავთ მუქი ფერის ყაბალახით თავი. სქელი, შინ ნაქსოვი ტან-საცმელი უხერხულად ადგათ ტანზე. წვრი-ლი წვიმის წვეთებით შევერცხლილა მთაში გაწრთვნილ ცხენების ზურგები. ამტანნი, მშვიდნი და გაწაფულნი არიან, ბახმაროს მთიან ბილიკებს შეჩვეულნი. ახლაც წყნა-რად დგანან პატრონთა გვერდით. ყუთებგა-დაკიდულნი უტდიან ტვირთს, რათა შეუდგ-ნენ ბახმაროს ულევ აღმართებს. ჩალანდრე-ბი გვარშმუნებენ, რომ ტალახია, ვერ ვივ-ლით. სოფლელი ქალები ეჭვის თვალით გვი-ყურებენ, — ამხელა ბავშვები ქე დეიხოცე-ბიან იმფერ გზაზეო, — ამბობენ. სულ 19 კილომეტრი უნდა გავიაროთ. არ არის ბევ-რი, ტალახმა თუ არ შეგვიშალა ხელი.

8 საათსა და 30 წუთზე პირველ აღმართს შევეუდგეთ; მოყვითალო, თიხნარი ნიადაგი წებოვან სითხედ ქცეულა, ფეხს ძლივს

ვდგამთ, ნაბიჯი დინჯდება, ფეხსაცმელი მძიმდება, — ნიადაგისფრად შეილება. მართ-ლაც თავისებური მიწაა ამ მხარეს, გზაც სულ სხვანაირი, თიხის ლოდებს შორის ჩაკ-ლაქნილი. ჩალანდრები წამოგვეწივნენ, მგზავრები უშოვიათ...

ჩალანდრებს ვუსწრებთ. შქერის, დეკას ბუჩქები გადმოზხენქილან, ვიწრო გვირაბს ჰქმნიან ჩალმავებული ბილიკის თავზე. ზოგჯერ ცხენები წამოგვეწივიან, სულ ახ-ლო მოვლენ. უეცრად ცხვირს მოგვიახლო-ვებენ, ოშხივარი და სითბო მოდის მათი თხე-ლი ნესტოებიდან.

ოდნავ გავივაკეთ, ფართოა ეს ადგილი, ვსაუზმობთ. აქვე წყაროც ყოფილა! მთის ჰაერით მადაზე მოსულნი გემრიელად ვი-ლუკმებით. 15 წუთის შესვენების შემდეგ კვლავ დაიძრა ჩვენი ბანაკი. მწკრივში თი-თო-თითო მივდივართ. მართლაც ნამდვი-ლად გვშველის ჩვენი სამთო ჯოხები. ამ ად-გილებში ბუჩქნარია მეტი. ნისლი მოიპარება ხეობებიდან. სქელ, მოთეთრო ბოლად ამო-დის ქვევიდან.

ჩვენს წინ მომალლო ბორცვი, ხის კენწე-როები ნისლში, და დაუსრულებელი სივრ-ცე. გგონია გათავდა ქვეყანა და ჩვენს იქით სივრცე, სივრცე და სივრცეა. ყველა ჩვენ-განი ჩუმად შეჰყურებს ნისლის მოძრაობას.

მივდივართ, ფერდობზე გართხმულან მცოცავი მცენარეები.

„ე, ახლა იწყობა აღმართი“ — ამბობენ ჩალანდრები. ამ ადგილას „ნახელლავს“ უწოდებენ.

ცოტა ხანს ვისვენებთ. გურიიდან სოფ-
ლელებს სახელდახელოდ ნაკეთ ფარულში
გასასყიდათ ამოუტანიათ მსხალი, ტიკით
ღვინო და მჭადები. აქა-იქ ჯგუფად ჩამს-
დარან მგზავრები. ტვირთახსნილი ცხენები
ნოყიერ მთის ბალახს მაღიანად სძოვენ. ქა-
ლებს ბავშვები კალთებში უზით, დასძინებია
ზოგიერთს, ხელში მოკბეჩილი მსხალი და
მჭადი შერჩენიათ. შორიდან საერობო დღე-
ობას ჰგავს აქაურობა. ქვევით წყაროა, ისე
ცივი, რომ შიგ თითს ვერ გააჩერებ. მინდა
წარმოვიდგინო, როგორია ბახმარო! ალბათ
პატარა ვაკეზე რამდენიმე სახლია, და კიდევ
რა? კიდევ არაფერი არა დგას. გული აღარ
მითმენს,—როდის ვნახავ ნეტავ?

ბანაკი დაიძრა. ტყეში შევდივართ. წიწ-
ვნარი ჯიშები გვხვდება.

მართლაც დიდი აღმართია. ტალახი აქ მცი-
რეა. ტყეში დგას ნაძვის საამო სურნელება,
რომელსაც ასე შკვეთრად შეიცნობს ქვევი-
დან მოსული ადამიანი. მუღმივი ნესტისაგან
დამპალი და გამოფიტული ასწლოვანი ხე-
ები უღონოდ გაწოლილან თავდაღმართზე.
ზოგს ძალაც აღარ შესწევს მთლიანად მოს-
წყვიტოს ტანი ფესვებს და ნახევრად გადახ-
ლეჩილი საცოდავად ჰკიდია ჯერ კიდევ მა-
გარ ფესვებზე.

გავივაკეთ. ტყის თავი თამამად გაცუნ-
ცულდა ჩვენს წინ და ახალგაზრდა ხის ფეს-
ვებქვეშ მიიმალა. გვიკვირს, აქაც არიან თავ-
გვები!

ფართო ვაკეს ვუახლოვდებით. ორი ერთ-
მანეთზე მიდგმული ფიცრული დგას, რამდე-
ნიმე სული საქონელი აქვე სძოვს. ეს კოლ-
მეურნეობას ამოუყვანია საქონელი ცხელ
ზაფხულში მთის ნოყიერ საძოვრებზე. ფიც-
რულში ცეცხლი ანთია. კაცზე ჩამოკიდებულ
კარდალაში ლობიო თუხთუხებს. სადად მო-
წყობილია აქაურობა. ვისვენებთ. სველ
ფესხაცმელებს ცეცხლს გარშემო ვულაგებთ
და იქვე ვსხდებით. უხვად ასდის ორთქლი
სველ ტანისამოსს. ვსაუზნობთ. სახლის პატ-
რონი კეთილი ხანში შესული ქალია. თავისი
ვაყით ვაკიჯვარში ცხოვრობს და ახლა აქ
საბალახოდ ამოყვანილ საქონელს პატრო-
ნობს. ნახევარი საათი დავისვენეთ. ჩილანდ-
რის ცხენს ბურთი გავუმასპინძლდით, გავშ-
რით და სულ სხვა ხალისზე მოვედით. აქე-
დან თითქმის თავდაღმართი იწყება. მწყრი-

ვად გავდივართ. ტყეები იშვიათად გვხვდე-
ბა, ბილიკი კლდოვან სერებზე მიიკლანება.
ნაბრალებში სწრაფი, ცივი წყაროები გვხვ-
დება. ხელმარცხნივ წიწვნარია. ზოგან გზა
მთლად ვაკდება და მოყავისფრო ფხვიერი
ნიადაგები გვხვდება. ძლიერი ხმაურით მთ-
ქრიან მთის პატარა მდინარეები, ძლიერად
ეჯახებიან ლოდებს, გაბრაზებულღვინით
თეთრ დორბლებს ჰყრიან. ფესხაცმელები
გავისუფტავთ, გავრეცხეთ ამ ყინულივით
ცივი წყლით.

მწვანე ფერდობებზე მივდივართ. ერთი
შეხედვით თრიალეთის ქედის გორებს მაგო-
ნებს ეს ადგილი.

უკვე ბინდდება. სოფელში შევდივართ.
მცირედ დასახლებულია აქაურობა. კვლავ
ტყეში მიიმართება ბილიკი და აღმართი იწ-
ყება. აქ უფრო მეტი სიბნელეა, წინა ჯგუფ-
მა გაგვასწრო. წყნარად მივდივართ ტყეში.

ლამდება. ბახმაროს გზის უკანასკნელ გო-
რაკზე ავდივართ. ტყეში საკმაოდ ბნელა.
წინ წასული ამხანაგების ჯიბის ფარნები
ციცინათელებივით გამოკრთიან შორს...
ტყეს გავცდით. სინათლეები წერტილებივით
მოფანტულან ტყეში. ამხანაგები ბახმაროს
შესასვლელში გვიციდნან. ორი წინ წასულა—
ბინაზე... მალე მათი სანათები სულ ახლავს
მოვიდნენ, ბინისაკენ გზას გვიჩვენებენ.
წვიმს. საწვიმრებს ვისხამთ. მთლად სიბნე-
ლეში მივდივართ. პირდაპირ მივაბიჯებთ,
სულ ერთია ჩვენთვის მდინარეში ჩავტო-
პავთ თუ ტალახში, ოღონდ დროზე მივი-
დით. მართლაც რომ ძლიერი წვიმაა, დაგვა-
ვიწყდება ოდესმე ეს წვიმა ან ეს მგზავ-
რობა?!

ბინაზე მივედით. მახარაძის საბავშვო
სახლის ქვედა სართულში დაგვითმეს ადვი-
ლი, გულთბილად დაგვხვდნენ, ცხელი წყ-
ლი მოგვაწოდეს. ტალახიანი ფეხი დავიბა-
ნეთ, ტანსაცმელი გამოვიცვალეთ. მახარაძე-
ში საძილე ტომრებში ვერ ვწვებოდით, გუ-
ლი გვიწუხებდებოდა სიცხით, აქ კი ორ-ორი
ვწვებით ერთად, რომ უფრო გავთბეთ.

უკვე ბახმაროზე ვართ, რომლისკენაც გუ-
ლი სიხარულით მოიღატოდა.

აღდე კაკაბაძე

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერ-
თა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და
ალპინიზმის კაბინეტის გურია-აჭარის ლაშქრო-
ბის მონაწილე.





მ ო თ ხ რ ო ბ ა

ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები თავს ევლებოდნენ ტყეს. თოთხმეტი წლის მწყემსი სიკო და მისი ამხანაგი დათა ხურჯინში ალაგებდნენ თავის ავლადიდებს — უკვე დრო იყო სოფლისაკენ დაქრათ ნახირი.

უცებ ტყის პირად მოისმა ძროხის საშინელი ბლავილი და რაღაც უცნაური, საშინელი ბრღვეინვა, რომლის მსგავსიც ბავშვებს არასოდეს გაეგონათ.

და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეს რა იყო! — ძლივს ამოიღულღულა შეშინებულმა სიკომ. დათა მთლად გაფითრებულიყო.

— მგლები!

ბავშვებმა კეტებს დაავლეს ხელი და ტყისაკენ გაიქცნენ, სადაც ამ რამდენიმე წუთის წინათ მშვიდად სძოვდა დიდება მაყვალას ბებერი ძროხა: ის საშინელი ხმა სწორედ იქიდან მოესმათ.

ძროხა არსად სჩანდა. ბალახი მოთელილი იყო და სისხლის გუბე იდგა.

ბავშვებს ელდა ეცათ, არ იცოდნენ რა ექნათ. ბანჯგვლიანმა მურამ ბავშვებზე ადრე მოირბინა, სისხლის გუბეს დასუნა, მერე თავი ასწია და აქეთ-იქით იხედებოდა; ბალახი აშლოდა, კუდი ფეხებში შეემალა და საცოდავად წკმუტუნებდა. მურა თრთოდა. ნეტავ რამ შეაშინა ასე მწარედ?!

ბავშვებს უნდოდათ მოეძებნათ ასე უცნაურად გამჭრალი ძროხა, მაგრამ ტყე ახლა შიშის ზარს სცემდათ.

— წამოდი, ნახირს მივხედოთ! — სთქვა ათრთოლებულმა სიკომ.

მწყემსი ბიჭები სოფლისკენ მიერეკებოდნენ ნახირს. გული ბოღმით ჰქონდათ სავსე.

— თავი მოგვეჭრა, დათა! რა ვუთხრათ დიდება მაყვალას?! — და ცრემლებილოყაზე ჩამოუვარდა სიკოს. მას თვალწინ ედგა ბებერი ხევსურული ძროხა, რომელიც ასე მოულოდნელად დაეკარგათ.


დათას შიშით კრიჭა შეკროდა. ეს რა მოუვიდათ! მგლებმა მოსტაცეს საწყალი შავი ძროხა!

დარცხვენილი მივიდნენ სოფელში, ადამიანის ფერი არ ედო არცერთს. ბაბუა კოტეს უამბებს ყველაფერი.

უმალ მთელმა სოფელმა გაიგო მაყვალას ძროხის დაკარგვის ამბავი. შეიქნა მოთქმა-მოთქმა, ზოგი რას ამბობდა და ზოგი კიდევ რას... ყველა საგონებელში ჩავარდა... ყველა გულისტკივილით თანაუგრძნობდა შეწუხებულ მაყვალას.

ბაბუა კოტემ ჯერ კი დაუტატანა ბავშვებს, მაგრამ მალე მოღბა და ალერსიანად სთქვა:

— არაფერია, ბავშვებო, მგლები თქვენისთანა პატარებს კი არა, დიდ მწყემსებსაც მოსტაცებენ ხოლმე საქონელს. თანაც იარალი არ გქონდათ. უფრო ფხიზლად უნდა იყოთ, საქონელს ერთი წუთითაც არ უნდა მოაშო-



რომ თვალი. თუ მგელი მოგივარდათ, ყვირილი უნდა ასტეხოთ. მგელს ეშინია ადამიანისა.

ბაბუა კოტე დაფიქრდა. შემდეგ შუბლი გაეხსნა და განაგრძო:

— მოდი, სიკო, ჩემს ორლულიან თოფს მოგცემ და ხვალდან ის თოფი ატარე საძოვრებზე, შენ ხომ გემარჯვება სროლა!

სიკო სიხარულით ცას ეწია. ბაბუას თოფი ჩამოართვა და თავის საწოლთან ჩამოჰკიდა.

მეორე დღეს ბავშვებმა ნახირი კვლავ საბალახოდ ვარეკეს. მაყვალა, მისი უფროსი ვაჟი და ორი მონადირე ვაჟყვნენ მათ. მივიდნენ იმ ადგილას, სადაც სძოვდა გუმინ მაყვალას ლამაზა, დაიწყეს მხეცების კვალის ძებნა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ღელის პირას იპოვეს ძროხის გამოსრული ძელები. მწარედ აქვითინდა მოხუცი ქალი.

— არა, ძროხა მგლის შეჭმული არ უნდა იყოს... მგლებს არ შეეძლოთ ძროხის აქამდე მოთრევა! — სთქვა ერთმა მონადირემ.

ყველა დაფიქრდა.

— მაშ რა იქნებოდა?! — იკითხა მაყვალას ვაჟმა.

— შეიძლება დათვი იყო: — სთქვა მეორე მონადირემ.

— უთუოდ დათვი იქნებოდა! — დაუდასტურა ყველამ.

მონადირეებმა ახლომხლო მიღამობი მოიარეს, მაგრამ დათვი ვერსად ნახეს. შემდეგ მწყემსი ბიჭები გააფრთხილეს, ნახირს თვალი არ მოაშორეთო, და სოფელში დაბრუნდნენ. მაყვალა და მისი ვაჟი მათ გაყვნენ.

მწყემსი ბიჭები მალღობზე ავიდნენ, დიდი მუხის ძირში, და იქიდან ფხიზლად ადევნებდნენ საქონელს თვალყურს. როგორც კი შენიშნავდნენ, რომ ძროხა თუ ხარი სცილდებოდა ნახირს, მაშინვე უკან გააბრუნებდნენ.

მათ თვალწინ გადაშლილიყო წარბეჭატი საკორდისის ხეობა, იქვე მახლობლად იყო მათი სოფელი ლელობა. შორს კი, მთის ქვემოთ, ტყის იქით ნისლში მოჩანდა დიდი სოფელი დიღომი.

სიკოს დარდი გადაეყარა გულზე, ის დარწმუნდა, რომ არავითარი ხიფათი აღარ მოელოდა ნახირს, თვალუბგაბრწყინებული დახედავდა ხოლმე ბაბუას ორლულიან თოფს. სიკოს თავის იმედი ჰქონდა, შესანიშნავად ახვედრებდა ნიშანს. „ოჰ, ნეტავ გამოჩნდებოდეს მგელი ან დათვი!“ — ნატრობდა სიკო.

ბავშვი ხან გაფრენილ ჯაფარას გამოუმიზნებდა თოფს, ხან მიწაზე მჯდომ კაქკაქს, ხან უცებ შემოტრიალდებოდა თოფმომარჯვებული, მაგრამ.. დათვი არსად იყო.

დათა ტკებებოდა სიკოს ცქერით. სიკო, მისი აზრით, საუკეთესო მსროლელია დედამიწის ზურგზე. ოღონდ კი თვალი მოჰკრას და დათვი ვერ წაუვა!

მზე საშუაღლოზე გადავიდა. ბავშვები მოიქანცნენ და მოშვიდათ კიდევ. მოხსნეს გუდას თავი და დანაყრდნენ.

ამასობაში ქარმა ყაზბეგის მხრიდან ღრუბლები მორეკა. აცივდა. ცოტა ხნის შემდეგ წვრილად დაიწყო თოვა.

მთაში უცებ იცვლება ამინდი, და ბავშვებს არ გაჰკვირვებიათ, რომ თოვლი წამოვიდა. ნახირი დაათვალიერეს, ყველაფერი რიგზე იყო. მალე ისე წამოხარდნა, რომ გარემო შეეთეტრდა. სწორედ ამ დროს ბავშვებს მოესმათ საშინელი ბრღღვინვა.

— ვაიმე, დათვი! — წამოიყვირა სიკომ და იქითკენ გაექანა, საიდანაც ეს ხმა მოესმა. მირბოდა და თან ორივე ჩახმახი ფეხზე შეაყენა. დათა და მურაც მას მიჰყვნენ.

დაათვალიერეს ნახირი და ბიძია კაკოს მოხვერი აღარსად იყო. თოვლზე ჩანდა სისხლიანი კვალი, რომელიც ხშირ შემხარში შედიოდა.

აქ კი ფერი ეცვალა სიკოს: დათვი დიდი, ხუმრობა ხომ არ არის მასთან შებმა! ვერ შებედა შამბნარში.

— რა უნდა ვუთხრათ ბიძია კაკოს! თოფი მაინც არ მქონდა თან!

ბოლმა ახრჩობდა სიკოს. არა, ბაბუა კოტეს რაღა უთხრას?! ნეტავი ეს თოფი მაინც არ მოეცა! პატარა დათა დარეტიანებულივით იდგა და თითქოს დამუნჯებულიყო.

ნახირი სოფლისაკენ გარეკეს. როდესაც სოფელში მივიდნენ, სიკომ უხმოდ გაუწოდა ბაბუას თოფი და მწარედ აქვითინდა.

— დათვმა მოზვერი გაგლიჯა... თვალიც ვერ მოვკარი... ვერც გავიგეთ, როგორ მოგვეპარა, — ზღუტუნით ამბობდა სიკო.

ბაბუამ დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი და დაფიქრდა — მიხვდა, რომ ტყეში რაღაც დიდი მხეცი ბინადრობდა. ცოტა ხანს იჯდა დაფიქრებული და მერე სთქვა:

— სიკო, გაიქეცი და მეზობლებს დაუძახე, აქ მოვიდნენ.

შეიკრიბნენ ლელობელნი. დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

— თუ რაიმე ახლავე არ ვიღონეთ, — ამბობდნენ მოხუცები, — მთელ ჩვენს ნახირს გასწყვეტს შემოჩვეული მხეცი. უთუოდ დათვი იტაცებს ჩვენს საქონელს: მხოლოდ მას შეუძლია წაიღოს მთელი ძროხა.

— დათვი უნდა მოვკლათ! — დაასკვნეს ლელობელებმა და ორი გამბედავი მონადირე ამოირჩიეს ამ საქმის შესასრულებლად.

— ესენი იყვნენ ძმები ვანო და სანდრო წიკლაურები. ისინი ახლახან იყვნენ დაბრუნებული ჯარიდან, მშვენიერ მსროლელებად ითვლებოდნენ და არაერთი დათვი მოეკლათ.

სიკო, რომელიც აქამდის წყნარად იჯდა ტახტზე, უცებ წამოხტა და დაიწყო ხეყნა, მონადირეებს მეც გავყვებო. მისმა თხოვნამ გასჭრა.

ინათლა თუ არა, თოფებით შეიარაღებული მონადირეები გზას გაუდგნენ. მათ თან გაჰყვა სიკო ბაბუას ორლულიანი თოფით და ნაჯახებით შეიარაღებული ათიოდე ლელობელი.

მალე მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც დაიღუპა წინა დღით კაკოს მოზვერი. გაჰყვნენ სისხლიან კვალს და შამბნარში იპოვეს მოზვერის ძვლები.

აქედან პატარა ტყისკენ მიდიოდა უზარმაზარი მხეცის ფეხის კვალი. ის არ ჰგავდა დათვის კვალს. ისეთი თათები მხოლოდ ვეფხესა და ლომსა აქვს, მაგრამ ლელობში რა უნდა მათ?!

მონადირეები სახტად დარჩნენ. ვანომ ფრთხილად შემოუარა პატარა ტყეს და დარწმუნდა, რომ მხეცის კვალი იქით არსად მიდიოდა. მამასადამე, მხეცი ტყეში იყო.

ლელობელები შემოერთყნენ ტყეს, რომ მხეცი არსად გაპარულიყო. ვანო და სანდრო წიკლაურები კი ტყეში შევიდნენ და სიკოც მათ შეჰყვა.

ტყეში უმთავრესად წვრილი ხეები იყო, ალაგ-ალაგ გაუვალი, აქა-იქ პატარა მინდვრებიც.

ფრთხილად, უხმოდ მიაბიჯებდნენ თოფებმომარჯვებულნი. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა.

უცებ სიკო წაბორძიკდა, გაისმა თოვლწყარილი ჩინჩხვის მტვრევის ხმა.



— ნელა, ნელა! — ხმა დაბლა სთქვა ვანომ და სიკოს თითით დაემუქრა.

იმავე წუთს მათ დაინახეს ზოლებიანი მხეცი, რომელიც უზარმაზარ კატას ჰგავდა. ყველას შიშისაგან ფერი დაეკარგა. მონადირეები მიხვდნენ, რომ ეს მხეცი ვეფხვი იყო. მხეცმა ზურგი ამოხნიჭა, მერე გასწორდა, ზანტად დაამთქნარა და უზარმაზარი კბილები გამოაჩინა.

უცებ გაისმა თოფის ხმა. სიკომ არც კი იცოდა, რა საშინელი მხეცი იყო მათ წინ, ვეღარ მოითმინა და თოფი ესროლა. ამ გასროლას შეეძლო ბავშვიც დაედუბა და დიდებიც, მაგრამ საბედნიეროდ, სიკოს ტყვიამ მენჯის ძვლები დაუმტვრია ვეფხვს და მხეცი ჩაჯდა. გაისმა საშინელი ღრიალი. მონადირეებს თმა ყალყზე დაუდგათ. სასიკვდილოდ დაჭრილი ვეფხვი წინა ფეხებით ფხოვნიდა მიწას, ბრღღვინავდა და მზად იყო სცემოდა მტერს, მაგრამ გადმოხტომის თავი არ ჰქონდა. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და საშიშ კბილებს აელვარებდა.

მონადირეები სწრაფად ამოეფარნენ ხეებს და დაჭრილ მხეცს ტყვია დააყარეს.

ვეფხვი ხედავდა მტრებს, ხედავდა, როგორ ვარდებოდა ცეცხლი თოფის ლულიდან... ტყვიები ზუზუნით მოჰქროდნენ მისკენ, მას კი არათუ ნახტომის გაკეთება, ხოხვაც არ შეეძლო და იჯდა, ბრაზმორეული ეგებებოდა უეცარ სიკვდილს.

თავი ამაყად ჰქონდა აწეული, მძლავრი თათებით აგერიებდა ტყვიებს, რომლებიც ხან აქეთ-იქით მიზუზუნებდნენ, ხან ტანში ესობოდნენ და გლეჯდნენ ხორცს, უმტვრევდნენ ძვლებს.

თოფის სროლის ხმაზე მოცვივდნენ ლელობელნი. ვეფხვი უკვე მკვდარი იყო, მისი მედიდური თავი უმწეოთ ეგდრ თოვლში. ბრაზით აღსაყვს ცეცხლოვანი თვალები და ხუტული ჰქონდა. სისხლთ იყო მოსვრილი მისი შშვენიერი ბეწვი.

შიშისაგან რეტდასხმული, ფერდაკარგული მონადირეები განუწყვეტლივ უშენდნენ

თოფს მკვდარ ვეფხვს: საშინელი მხეცი მკვდარიც კი შიშის ზარს სცემდათ.

ბოლოს, როგორც იყო, გონს ამოვიდნენ და წყნარდნენ.

ვანო გადაეხვია სიკოს და კოცნა დაუწყო.

ამან გადაგვარჩინა, ამან! — ეუბნებოდა ლელობელებს, — ამას რომ უკანა ფეხის ძვალი არ გადაემტვრია ვეფხვისათვის, ვერცერთი ვერ გადავრჩებოდით. აი თურმე რა იტაცებდა ჩვენს საქონელს, ჩვენ კი დათვი გვეგონა!

ლელობელებმა მოჭრეს სწორი ნორჩი ხე, ზედ ფეხებით ჩამოჰკიდეს ვეფხვი და სოფელში წაიღეს დიდი ამბით.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა, ყველა გაოცებული იყო, ვერ მიმხვდარიყვნენ, საიდან გაჩნდა ვეფხვი ლელობეში.

ბაბუა კოტემ ურჩია ლელობელებს, ეგ ვეფხვი ახლავე ურემზე დასდეთ და თბილისში ჩაიტანეთო. ასეც მოიქცნენ. მოკლული ვეფხვი საქართველოს მუზეუმმა შეიძინა. ამ ვეფხვის სანახავად დაიძრა ხალხი — მოდიოდნენ მოწაფეები, მუშა-მოსამსახურენი, ყველას აინტერესებდა საქართველოში საიდანღაც მოვარდნილი საშინელი მხეცის ნახვა.

ამ ვეფხვის ფიტული ახლაც საქართველოს მუზეუმშია და მნახველები ყოველდღე ათვალეიერებენ მას.

ეს ამბავი მოხდა 1922 წლის 5 დეკემბერს, დაახლოებით 25 კილომეტრზე თბილისიდან, სოფელ დიდმის ზემოთ.

სიკოს, რომელიც მაშინ 14 წლის ბიჭი იყო, თითქმის 20 წლის შემდეგ კიდევ შეხვდა „ვეფხვებზე“ ნალირობა, მაგრამ ეს იყვნენ არა ნამდვილი ვეფხვები, არამედ ფაშისტების ტანკები — „ვეფხვები“. სამამულო ომის დროს სიკომ რამდენიმე ასეთი „ვეფხვი“ მოსპო და თავისი წვლილი შეიტანა კაცობრიობის უბოროტესი მტრების განადგურებაში.



პიონერული მაგნი



ვ. ი. ლენინის სასელოების პიონერორგანიზაციის ისტორიიდან*

1924 წელი

20 ოქტომბერი. — ი. ბ. სტალინმა მიიღო ყურნალ „ნორჩი მშენებლების“ ახალგაზრდა კორესპონდენტები და პიონერი კორესპონდენტები. პიონერებმა უამბეს ამხანაგ სტალინს თავიანთ პიონერულ რაზმებზე, თავიანთ მუშაობაზე ყურნალში.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა აჩუქა მათ წიგნი „ლენინისა და ლენინიზმის შესახებ“ და დაუწერა მისალმება:

„ახალგაზრდა კორესპონდენტებსა და პიონერ კორესპონდენტებს, კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლის მატარებლებს, ჩემი სალამი!
ი. სტალინი“.

1925 წელი

24 ივლისი. — რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პიონერული მოძრაობის შესახებ“.

1926 წელი

23 მაისი. — პიონერორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების მეორე წლისთავზე წითელ მოედანზე გაიმართა პიონერთა პარადი.

1927 წელი

13 თებერვალი. — მთელ ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა პიონერული ორგანიზაციის ხუთი წლისთავი. პიონერთა ორგანიზაცია ამ დროისათვის თავის რიგებში უკვე ორ მილიონ ნორჩ ლენინელს ითვლიდა.

1928 წელი

11 ივნისი. — საბჭოთა კავშირში დაბრუნდა მაქსიმ გორკი, რომელიც საზღვარგარეთ იყო სამკურნალოდ. 11 ივნისს მ. გორკი შეხვდა მოსკოველ პიონერებს კინოთეატრ „კოლიზეიში“. პიონერებმა ჩვენი ქვეყნის დიდი მწერალი საპატიო პიონერად აირჩიეს და წითელი ყელსახვევი გაუკეთეს.

ნოემბერი. — ქალაქ ნუხის (აზერბაიჯანის დასაწყისი) იხ. „პიონერი“ № 8

სს რესპუბლიკა) მოსწავლე გოგონებმა პიონერების გავლენით მოიხსნეს ჩადრები.

1929 წელი

18-25 აგვისტო. — მოსკოვში შესდგა პიონერთა პირველი საკავშირო შეკრება. შეკრებაზე 7.000-მდე დელეგატი იყო. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით პიონერებს მიესალმა ამხანაგი ლ. მ. კავანოვიჩი.

„თქვენ წითელ ყელსახვევებს ატარებთ, — სთქვა მან. — უნდა გახსოვდეთ, რომ წითელი ყელსახვევი საპარადო ფორმა როდია. წითელი ყელსახვევი, რომელიც თქვენს მკერდს ამშვენებს, ასეული და ათასეული მეზრძოლის სისხლითაა შეღებილი... ატარეთ ეს წითელი ყელსახვევი ღირსეულად, მაგრად გეჭიროთ ხელში კომუნიზმის წითელი დროშა“.

1930 წელი

15 სექტემბერი. — მოსკოვს გაიხსნა ბავშვ-კორესპონდენტთა სრულიად საკავშირო შეკრება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით შეკრებას მიესალმა ამხანაგი ემ. იაროსლავსკი.

1931 წელი

იანვარი. — ქალაქ გომელის (ბელორუსია) პიონერებმა მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობაში მოზრდილი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. წლის ბოლოსათვის მათ წერა-კითხვა შეასწავლეს 163 კაცსა და ქალს.

1932 წელი

20 მარტი. — „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა ვ. ვ. კუბიშვევის წერილი „შევვისწავლოთ ჩვენი ქვეყანა“. ამხანაგ კუბიშვევის მოწოდებაზე საფხულში მრავალი პიონერული რაზმი გავიდა სალაშქროდ წილისეულისა და ახალი მცენარეულობის აღმოსაჩენად.

3 სექტემბერი. — ხალხის მტრებმა მოჰკლეს პიონერი პავლე მოროზოვი.
(ჯაგრძელეზი იქნება)



დიდმა აზერბაიჯანელმა პოეტმა და მო-
აზროვნემ ნიჰამიმ თავისი ცხოვრების მეტი
ნაწილი ქალაქ განჯაში (ახლანდელ კიროვ-
აბადში) გაატარა და ამიტომაც მიიღო სა-
ხელწოდება განჯელი.

დაიბადა რვაასი წლის წინათ ქალაქ ყუმ-
ში. მისი სრული სახელი და გვარი იყო:
შეიხ ნიჰამი ოდ-დინ აბუ მუჰამედ ილიას
იბნ-იუსუფ განჯევი. ნიჰამის მიღებული
ჰქონდა არაბული—მუსლიმანური განათ-
ლება. მან, როგორც დიდმა პოეტმა, ხელ-
მოკლეობაში შემოქმედებითი თავისუფლე-
ბა არჩია სასახლის კარის პოეტის დამამცი-
რებელი მოვალეობის ატანას. იგი სასტი-
კად ჰკმობდა შაჰების ტირანიას. მას გულს
უკლავდა ქვეყნის მდობრო მოსახლეობის
ჩაგვრა. ნიჰამის პოეტური სიტყვა ამხელდა
იმათ, ვინც სძარცვავდა ხალხს, არაკეთილ-
სინდისიერად ითვისებდა პატიოსანი შრო-
მის ნაყოფს და ურცხვად სთელავდა სამარ-
თლიანობას თუ ადამიანურ ღირსებას.

ნიჰამი განჯელის ლიტერატურული მემ-
კვიდრეობა დიდი და მრავალმხრივია. წა-
რუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკით-
ხველზე მისი ლირიკა. სამიჯნურო ხასიათი-
საა პოეტის პოემები: „ხოსროვ და შირინი“,
„ლეილ და მაჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახა-
ვი“. ჩვენში ძველთაგანვე ცხოველ ინტე-
რესს იწვევდა დიდი აზერბაიჯანელი პოე-
ტის ნაწარმოებები. ნიჰამის „შვიდი მზეთ-
უნახავი“ („შვიდი მთიები“) ქართულად
თარგმნა მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილმა
ქართველმა პოეტმა ნოდარ ციციშვილმა.
პოეტის განთქმული პოემა „ლეილ და
მაჯნუნი“ ქართულად თარგმნა თეიმურაზ
პირველმა. აგრეთვე თარგმნილია პოემა
„ხოსროვ და შირინი“ და ლირიკული ლექ-
სები.

ნიჰამიმ თავისი საგმირო პოემა „ისქან-
დერ-ნამე“ ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრე-
ბასა და გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძო-
ლას მიუძღვნა. მასში დახატულია ქართვე-
ლი, სომეხი და აზერბაიჯანელი მებრძოლების
ძმური თანამეგობრობა, მათი ერთობლივი
ბრძოლა მტრის გასანადგურებლად. პოემა
„ისქანდერ-ნამე“ შინაარსი ზღაპრულ-
ლევგენდარული ხასიათისაა. მასში პოეტმა
ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობა და-
უკავშირა ამიერკავკასიის სინამდვილეს. პო-
ემაში ალექსანდრეს სამხედრო ოპერაციები
მეტნაწილად იშლება აზერბაიჯანისა და სა-
ქართველოს ტერიტორიაზე. აქ აღწერილია
აზერბაიჯანის (ბერდას) ქვეყნისა და აფ-



ხაზეთის (საქართველოს) ურთიერთობა. პო-
ეტი ამ პოემაში სამართლიანად უკავშირებს
ერთმანეთს ამიერკავკასიის ხალხთა ისტო-
რიულ ბედს, მეგობრობას და საქმიანობას.
ნიჰამის ნაწარმოები „საიდუმლოებათა სა-
განძღური“ სიბრძნის შემცველი, ზნეობრივ-
დამრიგებლობითი ხასიათის მქონე პატარ-
პატარა მოთხრობების კრებულს წარმოად-
გენს.

ნიჰამი განჯელი ხალხთა მეგობრობის
მომღერალი, საუკეთესო მომავლის მეხოტ-
ბე, მგზნებარე პატრიოტი იყო. იგი, რო-
გორც ღირსეული წინაპარი, საბჭოთა ხალხს
თავისი პატრიოტული ლექსებით შორეუ-
ლი წარსულიდან ესიტყვებოდა ომისა და
განსაცდელის დროს. რუსი მწერალი ნიკო-
ლოზ ტიხონოვი ამბობს, თუ როგორ აღაფ-
როთვანებდნენ იმ მრისხანე დღეებში საბ-
ჭოთა მებრძოლებს ნიჰამის ლექსები. „ჩვენ
ვზეიმობდით მისი დაბადების დღეს ალყა-
შემორტყმულ .ლენინგრადში, — გადმოგვე-
ცემს ტიხონოვი,—იგი მოვიდა ჩვენს ქა-
ლაქში ბრძოლის გუგუნში და ჩვენ შევ-
ხვდით მას როგორც მეგობარს, მოკავშირეს,
თანამებრძოლს“.

დიდი პოეტი ნიჰამი განჯელის ლიტერა-
ტურული მემკვიდრეობა უკვდავია, როგორც
შესანიშნავი სიმღერა მტკიცე მეგობრობის,
წმინდა სიყვარულის და ადამიანის თავის-
უფლების შესახებ.

ლევით შაჰათაჟა

მისი ბედი

(რუსულიდან)



ვერ თქვენთაგანისათვის ალბათ ცნობილია ეს სიმღერა:

„ბურანი მოდგა ზღურბლთან —
იძინე კარგო, ტუბილად,
ასი გზა, ასი ფართო გზა
შენთვის წინ გადაშლილა“.

ათ წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც ეკრანზე გამოჩნდა კინოფილმი „ცირკი“. მოზრდილ მაყურებელს ახსოვს ზანგი ჯიმი. მას ამ იავენანას უმღერის მსახიობი მარიონ დიქსონი, რომლის როლს ამ ფილმში ასრულებს ცნობილი საბჭოთა მსახიობი ლიუბოვ ორლოვა.

ფილმში პატარა ბიჭუნას როლში ჯიმი პატერსონი გადაიდეს. იგი ამერიკის ვირჯინიის შტატიდან წამოსული ზანგის შვილია.

პატერსონების ოჯახის ისტორია დამაღწნებელია, მილიონი ზანგის ოჯახის მსგავსად, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლაც მონობაში იმყოფებიან. ჯიმის პაპასაც მწარე ბედი ჰქონდა. პატარობისას იგი გაბოროტებულმა ბატონის მეუღლემ ლუმელში შეაგდო, პატარა გადაარჩინეს, მაგრამ ხელი დაეწვა. ცალხელა მონა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში წელში მოხრილი მუშაობდა პლანტაციებში. პლანტატორის ბავშვებმა მოხუც ზანგს ერთხელ სკიდან თაფლი


მოპარეს. როდესაც მოხუცმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, მას ბორკილები დაადეს და ციხეში ჩასვეს.

ჯიმის პაპა — არჩი პატერსონი მღებავი იყო, ბებია კი — მრეცხავი. ჯიმის მამას საშუალება მიეცა დაემთავრებინა ზანგების კოლეჯი, მაგრამ ამერიკაში ძნელია საშუაო იშოვოს ზანგმა ინჟინერმა. ის სხვა ზანგებთან ერთად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და მხოლოდ ჩვენი ქვეყანა შეიქნა ლოიდ პატერსონის და მისი შვილებისათვის ნამდვილი სამშობლო.

ზანგი ლოიდის შვილები — ჯიმი და ტომი — ვერასოდეს ვერ გაიგებენ იმ საშინელ ცხოვრების სიმწვავეს, რომლისთვისაც განწირული არიან ზანგები ამერიკაში.

ჯიმი სწავლობდა საბჭოთა სკოლაში. თავის ტოლებთან ერთად მონაწილეობდა სასკოლო წრეებში. უყვარდა წიგნების კითხვა მამაც მეზღვაურებზე, შორეულ მოგზაურობებზე. იგი ოცნებობდა მეზღვაური გამოსულიყო. ოცნება შეუსრულდა. ორი წლის წინათ ჯიმი პატერსონი შევიდა რიგის ნახიმოვის სახელობის სასწავლებელში. გაივლის დრო და ჯიმი საზღვაო ფლოტის ოფიცერი გახდება. ზანგი კაპიტანი წაიყვანს საბჭოთა გემს შორეულ მოგზაურობაში.

ი ა მ ა მ ა გ ვ ი შ ვ ი ლ ი



პ. ნ. იაბლოჩკოვი



პატარა პავლუშა იაბლოჩკოვმა ჯერ კიდევ სარატოვის გიმნაზიაში გაითქვა სახელი, როგორც გამომგონებელმა. თორმეტი წლისა იყო, როცა გამოიგონა მოწყობილობა ეტლის თვლის ბრუნვის მიხედვით გავლილი მანძილის გასაზომად. გიმნაზიის კურსიდან ყველაზე მეტად ფიზიკა-მათემატიკური საგნები აინტერესებდა.

1863 წელს იაბლოჩკოვმა ჩინებულად ჩააბარა გამოცდა პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელში. ეს მამინ რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელი იყო, რომელიც ღრმა სპეციალურ ცოდნას აძლევდა მსმენელებს.

1866 წელს იაბლოჩკოვმა წარჩინებით დაამთავრა სასწავლებელი და უმცროს ოფიცრად დაინიშნა კიევის ციხე-სიმაგრის ვარნიზონში.

1867 წელს პავლე ნიკოლოზის-ძე იაბლოჩკოვი გამოდის სამხედრო სამსახურიდან და ცოდნის შესავსებად შედის „ოფიცერთა გაღვანურ კლასებში“. ამ სასწავლებელმა იაბლოჩკოვს ღრმა ცოდნა მისცა ელექტრული დენის შესწავლისა და ტექნიკური გამოყენების დარგში.

1870 წელს იაბლოჩკოვი დანიშნეს მოსკოვ-კურსკის რკინიგზის ტელეგრაფის უფროსად. ტელეგრაფის სახელოსნოები შესაძლებლობას აძლევდა მას დაეყენებინა საჭირო ცდები, შეემოწმებინა თავისი საგამომგონებლო იდეები. ამ დროს გაიცნო მან მეორე გამოჩენილი რუსი ელექტროტექნიკოსი-გამომგონებელი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჩიკოლევი, დამაარსებელი ყურნალ „ელექტრობისა“, რომელიც ამჟამადაც გამოდის. ჩიკოლევთან ნაცნობობა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა იაბლოჩკოვისათვის. სწორედ მასთან ურთიერთობის შედეგად დაინტერესდა იმ საკითხით, რომლის გადაწყვეტამ სახელი გაუთქვა იაბლოჩკოვს, როგორც ინჟინერსა და გამომგონებელს.

პირველმავე ცნობებმა გაღვანისა და ვოლტას ცდების შესახებ რუს მეცნიერთა უდიდესი ყურადღება მიიპყრო. მის შემდეგ რაც ვოლტამ, ცნობილი „ვოლტას სვეტის“ სახით შექმნა მოწყობილობა საკმაოდ ძლიერი და ხანგრძლივი ელექტრული დენის მისაღებად, პირველ ელექტროტექნიკოსთა მთელი ყურადღება მიქცეული იყო დენის ამ

წყაროს შემდგომ გაუმჯობესებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე.

1802 წლის 23 ნოემბერს რუსმა პროფესორმა—ფიზიკოსმა ვასილ ვლადიმერის-ძე პეტროვმა შესანიშნავი აღმოჩენა გააკეთა. ნახშირის ელექტროგამტარობის შემოწმებისას ის განსაცვიფრებელი მოვლენის მოწამე გახდა: გამოსაცდელად აღებულ ნახშირის ღეროს სადენებით ბატარიასთან შეერთების დროს ღერო შემთხვევით გატყდა. პეტროვმა გატეხილი ნაწილები მჭიდროდ მიადო ერთმანეთს და დენი ჩართო. სულ რამდენიმე წამში მთელი ოთახი კაშკაშა სინათლემ გაანათა: გადატეხის ადგილას ნახშირის ბოლოები გავარგარებულიყვნენ და თვალისმომჭრელ სინათლეს გამოაჰყოფდნენ. ასე იშვა „ვოლტას რკალი“, რომელსაც უფრო მართებული იყო „პეტროვის რკალი“ დარქმეოდა.

მაგრამ განათებისა და სხვა მიზნებისათვის ვოლტას რკალის ფართოდ გამოყენებას აძნელებდა ის გარემოება, რომ საჭირო იყო ნახშირის ღეროების სისტემატურად ხელით მიახლოვება ერთმანეთთან. სანამ გამოგონებული არ იქნებოდა საიმედო რეგულატორი, რომელიც დაწვის მიხედვით, თანდათანობით მიუახლოვებდა ერთმანეთს ნახშირის ღეროებს, გამოგონების პრაქტიკული ღირებულება მეტად მცირე იყო.

სწორედ ასეთი რეგულატორის გამოგონებით იყო დაინტერესებული ჩიკოლევი. ჩიკოლევთან ურთიერთობის გავლენით იაბლოჩკოვი ვოლტას რკალის პრაქტიკულ გამოყე-

ნების საქმის ენთუზიასტი გახდა და თვითონ მოჰკიდა ხელი ნახშირის ღეროებს შორის მუდმივი მანძილის დაცვის პრობლემის გადაჭრას. ტელეგრაფის სახელოსნოს ფარგლებში ამისათვის ვიწრო აღმოჩნდა და იაბლოჩკოვმა გადასწყვიტა გამოსთხოვებოდა სახელმწიფო სამსახურს. ერთ თავის მეგობართან, ელექტრობის ასეთივე თავდავიწყებულ მოყვარულთან, არტილერიის ყოფილ კაპიტან გლუხოვთან ერთად მან ცალკე სახელოსნო გახსნა. ეს სახელოსნო მათთვის მრავალი გაბედული და საინტერესო ცდის ცენტრად გადაიქცა. მაგრამ ელექტროტექნიკის ენთუზიასტები მალე ვალებში ჩავარდნენ და იძულებული გახდნენ სახელოსნო დაეკეტათ.

როცა იაბლოჩკოვმა მეფის მთავრობის დახმარების იმედი დაჰკარგა, გადასწყვიტა საზღვარგარეთ წასულიყო ბედის საძიებლად.

იგი პარიზში ჩავიდა. იმ საწარმოებს შორის, რომლებს დათვალეირებასაც იაბლოჩკოვი აპირებდა, იყო ბრეგეს საათებისა და ზუსტი ხელსაწყოების ფირმის სახელოსნო. ბრეგეს სახელოსნო არსებითად დიდი ქარხანა იყო, სადაც სწარმოებდა დინამომანქანების აწყობა და სხვა თვალსაჩინო მუშაობა ელექტრობის დარგში. იაბლოჩკოვისთვის ეს დიდი პრაქტიკული სკოლა იყო, ბრეგეს კეთილმოწყობილი ლაბორატორია კი შესაძლებლობას აძლევდა უფრო ნაყოფიერად განეგრძო დაწყებული ცდები. აქ, ბრეგეს სახელოსნოში, შეჰქმნა მან საბოლოოდ თავისი უამთავრესი გამოგონებები—ცნობილი ელექტრული „სანთელი“ და სავარჯირო ნათურა, რომლებმაც „მას“ სახელი გაუთქვეს.

უამრავი ცდა ჩაატარა იაბლოჩკოვმა ვოლტის რკალის მექანიკური რეგულატორის შესაქმნელად, ვიდრე ერთმა შემთხვევამ სრულებით არ ააღებინა ხელი რეგულატორის ძებნაზე.

1876 წლის თებერვალი იყო, კაფეში იჯდა იაბლოჩკოვი და ისევ და ისევ ელექტრულ განათებაზე ფიქრობდა. ამ ფიქრებში ვართულმა, ჯიბიდან ამოიღო ორი გრძელი ფანქარი და მაგიდაზე დასდო. მათი აჩეთ-იჩით გადაადგილებისას ისინი შემთხვევით პარალელურად მოათავსა. ფანქრების ამ განლაგების მეოხებით პრობლემა იაბლოჩკოვისთვის გადაწყვეტილი იყო. ნახშირის ღეროების ასეთი განლაგების დროს არავითარი რეგულატორი საჭირო არ იყო, ვინაიდან ერთმანეთის გვერდით ჩასმულ ნახშირის ღე-

როს წვის დროს თანაბრად უნდა დაეკლო.

ასე იშვა ცნობილი „იაბლოჩკოვის სანთელი“. იგი წარმოადგენდა ორ ნახშირის ღეროს, რომელთა შორისაც მოთავსებული იყო საიზოლაციო შრე. ეს შრე ისეთივე სისწრაფით იწვოდა, როგორც ნახშირები. სანთლის ასანთებად ღეროებს ჩამოცმული ჰქონდა თითბრის ფირფიტა, ჩართული დენი ფირფიტაში გაივლიდა და ნახშირის ღეროებს ავარჯობდა.

1876 წლის 23 მარტს იაბლოჩკოვმა პირველი პატენტი*) მიიღო საფრანგეთში თავის სანთელზე.

სწორედ ამ ხანებში იაბლოჩკოვს ბრეგეს დავალებით ლონდონში მოუხდა გამგზავრება და იქ, სასწავლო ხელსაწყოთა გამოფენაზე, პირველად აინთო „იაბლოჩკოვის სანთელი“.

ვინაიდან იაბლოჩკოვს საკუთარი თანხები არ ჰქონდა, იძულებული გახდა თულისანი ხალხისათვის მიემართა. საფრანგეთში სპეციალური საზოგადოება დაარსდა იაბლოჩკოვის გამოგონების საექსპლოატაციოდ.


სულ მალე პარიზისა და ლონდონის გაზეთები გაივსო იაბლოჩკოვის ჯადოსნური გამოგონების აღწერით.

„სინათლე შოდის ჩრდილოეთიდან—რუსეთიდან!“

„რუსეთი სინათლის სამშობლოა!“,—სწე-რდნენ გაზეთები.

„რუსული სინათლე“,—ასე მონათლეს გაზეთებმა „იაბლოჩკოვის სანთელი“, რომლითაც სულ მოკლე ხანში გაჩირალდნდა პარიზის ერთ-ერთი მთავარი პროსპექტი—ოპერის პროსპექტი და მოიღანი, შატლეს თეატრი, ლუერის მაღაზიები, პარიზის საკრებულო ტაძრის თასაღი და მთელი რიგი სხვა შენობები. ლონდონიდან და პარიზიდან „იაბლოჩკოვის სანთელმა“ მალე სხვა ქვეყნებში გაიკაფა გზა. თვით იაბლოჩკოვი სწერდა, რომ „რუსეთის სანთელი მოკლე ხანში გავრცელდა მთელ მსოფლიოში, პარიზიდან მან მიაღწია სპარსეთის შაჰებისა და კამბოჯის (ინდო-ჩინეთი) მეფის სასახლეებამდე“.

რუსეთის მეფის მოხილვები მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა პავლე იაბლოჩკოვის სახელი მთელ ევროპაში ჰქუხდა. მხოლოდ



იაბლოჩკოვის სანთელი.

*) პატენტი მოწმობაა, რომელიც იძლევა გამოგონებით სარგებლობის განსაკუთრებულ უფლებას.

ახლა შესთავაზეს მას სამშობლოში დაბრუნება და მისი „სანთლების“ წარმოების მოწყობა. იაბლოჩკოვი გაახარა ამ ამბავმა, თავისი გამოგონება გამოისყიდა საფრანგეთის კაპიტალისტებისაგან და დაბრუნდა სამშობლოში. მალე პეტერბურგის მთელი რიგი ადგილები „იაბლოჩკოვის სანთლებით“ გაჩირაღდნდა.


შეტად მძიმე პირობებში მოუხდა მეფის რუსეთში მუშაობა იაბლოჩკოვის, მაგრამ შედგრად განაგრძობდა ბრძოლას ელექტრობისათვის მრეწველობასა და ტექნიკაში გზის გასაკავად. ახალ საქმეს ბევრი არაკეთილმოსურნე გამოუჩინდა, უმთავრესად მეტოქე ფირმების — ვაზით განათების საზოგადოებების სახით. მალე გამოჩნდა აგრეთვე განათების უფრო სრულყოფილი ხერხი — ელექტრული სავარვარო ნათურა, შექმნილი მეორე დიდი რუსი გამოგონებლის — ალექსანდრე ლოდინის მიერ.

თავისი ბრწყინვალე გამოგონებამ პავლე იაბლოჩკოვის მეფის რუსეთში მატერიალური კეთილდღეობა ვერ შეუქმნა. მისი ჯანმრთელობა შეირყა.

1894 წლის 31 მარტს იაბლოჩკოვი გადაიცვალა თავის შობილურ პატარა შამულში. ის ამ დროს სულ 47 წლისა იყო.

პავლე იაბლოჩკოვის ხსოვნა სამართლიანად დარჩა მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში, როგორც სახელი ადამიანისა, რომელმაც შექმნა თავისი დროისათვის საუკეთესო კონსტრუქციის რეალური ნათურა, რომელმაც საგამომგონებლო აზრი დარაზმად ელექტრული სრულყოფის განათების ამოცანების გარშემო და თავისი აღმოჩენებით, სხვა დიდ რუს მეცნიერთა გვერდით, სახელი და დიდება მოუპოვა თავის სამშობლოს.

ე. წულაძე



შინაქსი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმება	2	ა. კაკაბაძე — მსხარაძიდან ბანზარომდე (ნარკვევი)	21
ა. ბარტო — ბარათები სტალინს (ლექსი)	4	ე. მარკოვი — მამაცი მწყემსი ბიჭი (მოთხრობა)	23
ბ. ჯაში — მოსკოვი — ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი (წერილი)	5	პაონერული მატინე	27
ვ. უფრული — მოსკოვის ბჭესთან (ლექსი)	9	დ. შამათავა — ნიშაში განჯელი (წერილი)	28
ვ. გორგანელი — ვიცედი მოსკოვს! (ლექსი)	9	ია მამაგეიშვილი — მისი ბედი (ნარკვევი)	29
ი. ცინცაძე — მოსკოვი და საქართველო (წერილი)	10	ე. წულაძე — ბ. ნ. იაბლოჩკოვი (რუსი მეცნიერები)	30
დიდი ქალაქის შესახებ	13	კ. კალაძე — პირველი დილის სიმღერა (ლექსი)	გარეკ. მე-2 გვ.
ბ. ბეთანელი — თერთმეტი რაზმის შეკრება	15	გასართობი	გარეკ. მე-3 გვ.
ლენინის უბანში	17	წარმტაცია საქართველო	მუსიკა
რ. ჩაჩანიძე — მებადურთა ქალაქში (მოთხრობა)	18	თ. შავერზაშვილისა	გარეკ. მე-4 გვ.
შ. შაველაშვილი — პიონერების სიმღერა (ლექსი)	20		


გარეკანზე ვ. ჯაფარიძის ნახატი „მოსკოვი, კრემლი“.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავაძეშვილი, გ. კაჭახიძე (პ/მგ. რედაქტორი), ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

უფ. 10476. ტირაჟი 7000, გამომც. შეკვ. № 97, სტამბის შეკვეთა № 1230, ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. ქუთნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ საგემოვნო სამინისტროს ლითოგრაფიაში.



კროსვორდი




პორიზონტალურად

1. ქართული ხალხური საკრავი, 5. კიბორჩხის ელემენტი, 9. დიდი ქართველი მწერალი, 10. ი. ჭავჭავაძის პოემა, 11. ერთ ტოტზე დაკიდებული ყურძნის მტვენები, 12. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი, 15. მატერიკი, 22. სახელმწიფო აზიაში, 23. ცნობილი მკვლევარი, 24. ნ. ლომაურის მოთხრობა, 25. მახრჩობელა გველი, 26. ტემპერატურის საზომი ერთეული, 28. პატარა ცხვარი, 30. პურის საღებავი ადგილი, 31. მატერიკი, 36. საფოსტო ნიშანი, 37. მეცნიერება ნივთიერებებსა და მათ შენაერთებზე, 38. გულიდან გამოშვებული მთავარი ძარღვი, 41. ცნობილი ქართველი პოეტი, 42. ცნობილი ფიზიკოსი.


პასუხი უფროსად „პიონერის“ № 8-ში მოთავსებული გამოცანაზე **ბოკლომები**

ბოკლომები დადებული უნდა იქნეს ასეთნაირად:



მერტიკალურად

1. მტაცებელი ფრინველი, 2. ხელოვნების სახე, 3. უდიდესი ჩანჩქერი, 4. მატერიკი, 5. ოთახის ნაწილი, 6. მამაკაცის სახელი, 7. ჰომეროსის პოემა, 8. დიდი ქართველი მწერლის სახელი, 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილი, 14. ნათურა, 16. რესპუბლიკა სამხრეთ ამერიკაში, 17. საოჯახო ან დაწესებულების ნივთები, 18. მთა სომხეთში, 19. ძლიერი ქარი, 20. უზარმაზარი ტყე ციმბირში, 21. პარკოსანი მცენარე, 27. წარსულის შემსწავლელი მეცნიერება, 28. მონასტერი თბილისის მახლობლად, 29. შეჯიბრი ცხენებით, 30. მწერი, 32. მდინარე კახეთში, 33. მატერიკი, 34. ერთუჯრედიანი ცხოველი, 35. მწერი, 39. იტალიის დედაქალაქი, 40. თქმულება.



ორი მატარებელი დგას პირისპირ ერთ გზაზე. თვითეული მათგანი შედგება ერთი ორთქლმავლისა და ცხრა ვაგონისაგან. არის ორი ჩიხი № 1 და № 2, თვითეული მათგანი

იტევს ხუთ ვაგონს. როგორი მანერეგია საჭირო, რომ თვითეულმა მატარებელმა თავისი გზა განაგრძოს?

წარმტაცია საქართველო...



მუსიკა თ. შამიგაშვილისა

სიტყვები ვ. კახანიძისა

ზომიერად თანდათან აჩქარებით.

მწ წარმ-ტა-ცი-ა სა-ქარ-თვე-დო მი-სი წყა-რო,

მი-სი კორ-დი; მწვა-ნე ვა-ბით გა-ზატ-ხუ-რი

1. მის ბა-ღებ-ში აღ-რე მო-ღის, აღ-რე მო-ღის.
2.

წარმტაცია საქართველო —
 მისი წყარო, მისი კორდი;
 მწვანე კაბით გაზაფხული
 მის ბაღებში აღრე მოღის.

ყვავილების სურნელებას
 ხად არ აღრე ვს სიო ფრთხილი
 მზე ლაფვარდნი დიდხანს რჩება
 და შარდბა ბაღში ხილი.

ლაშაშია საქართველო,
 წყაროსავით მომღიმარი,
 სიცოცხლეზე მღერის მუდამ
 მისი სიო, მისი მტკვარი.